პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

შაბათი
16
იანვარი
1937 წ.
№ 13 (4815)

ქართველმა ხალხმა ბრძოლებში გამობრძმედილი, ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილის ამხ. ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით მიაღწია თავისი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ აყვავებას.

„პრავდა"

ქართული საბჭოთა ხელოვნების ორდენოსნები

პ. ამირანაშვილი

მ. ბალანჩივაძე

ს. კავსაძე

ქ. პაჭკორია

შ. აზმაიფარაშვილი

შ. ალსაბაძე

დ. ბამრეკელი

ი. ხორდელაძე

დ. ჯავრიშვილი

ს. ინაშვილი

ლ. კავსაძე

გ. ქილაძე

ა. ჯიბრელიძე

ქ. შოცხვერაშვილი

ე. ხატარიძე

ი. სუხიშვილი

ა. თათარიშვილი

ვ. ჭაბუკიანი

ა. ჭყონია

ს. ვირსალაძე

გ. ბარხუდაროვი

ა. ჯინაძე

ლ. გუდიაშვილი

ლ. ისეცკი

მ. ნაკაშიძე

ნ. ხარაძე

დ. არაყიშვილი

> საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველჰყო საქართველოს ხალხთა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ნამდვილი აყვავება...
>
> იფურჩქნება ხელოვნება და ლიტერატურა.
>
> **ლავრენტი ბერია**

დიდი გამარჯვება— დიდი ამოცანები!

ქართულმა მუსიკამ, სიმღერამ, ცეკვამ მოსკოვში ბრწყინვალე შეფასება მიიღო. საბჭოთა მთავრობამ უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დააჯილდოვა ოპერის და ბალეტის თბილისის სახელმწიფო თეატრი.

ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის, გამობრძმედილი ბოლშევიკის ამხ. ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით ორდენოსანმა საქართველომ ხელოვნების ფრონტზეც მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება.

საბჭოთა საქართველოს კულტურის და ხელოვნების მუშაკები, მუშები და გლეხები გულწრფელად აღფრთოვანებული არიან ქართული ხელოვნების ამ ახალი შესანიშნავი გამარჯვებით. თბილისის თეატრალური კოლექტივები, თეატრის, კინოს, ფერწერის გამოჩენილი ოსტატები აღტაცებულნი შეხვდნენ საკავშირო მთავრობის დადგენილებას, მიესალმებიან ოპერის და ბალეტის თეატრის ორდენოსან კოლექტივს, რომელმაც განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია.

ორდენოსანი საქართველო ორდენოსანი თეატრების რესპუბლიკაც გახდა! ყოველი ახალი გამარჯვება კულტურის, ხელოვნების დარგში საქართველოს ხელოვნების მუშაკებს რაზმავს და ამჭიდროვებს მორიგი ბრწყინვალე წარმატებების მოსაპოვებლად, სოციალისტური ხელოვნების ახალი მწვერვალების დასაპყრობად.

ასეა ახლაც, როცა ქართული ოპერა, ცეკვა და სიმღერა მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის უფრო ნაცნობი და ახლობელი გახდა, როცა საქართველოს ხელოვნების მუშაკებში აზვირთდა შემოქმედებითი აღფრთოვანების ახალი აღტყინება, სასახელო გამარჯვებით გამოწვეული.

ორდენოსანი საქართველო დიდი საბჭოთა კავშირის ერთერთი მოწინავე რესპუბლიკაა. მისი კულტურა, ხელოვნება, ისე როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკების დიადი, მრავალფეროვანი კულტურა და ხელოვნება, თავისებურ სამკაულს წარმოადგენს საბჭოთა ხალხის დიად სოციალისტურ მშენებლობაში. ჩვენი თეატრის, მუსიკის, მხატვრობის მიღწევებიც ამდიდრებენ და ამშვენებენ დიადი საბჭოთა ხელოვნების საგანძურს. საბჭოთა საქართველოს ეს მიღწევები ფართოდ ცნობილი გახდა მთელი საბჭოთა კავშირისათვის.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ დასაწყისია იმ უდიდესი აყვავებისა, რომელიც მოელის საბჭოთა საქართველოს კულტურას, მთელი საბჭოთა კავშირის სოციალისტურ კულტურასთან ერთად. უმთავრესი წინ არის! წინ არის მორიგი შესანიშნავი წარმატებები მწერლობის, თეატრის, მუსიკის, კინოს, მხატვრობის და სხვა დარგებში. წინ არის სოციალისტური კულტურის შემდგომი დიადი აყვავება, მისი ახალი შემოქმედებითი აღმავლობა.

საბჭოთა საქართველოს ხელოვნების მუშაკებმა ახალ ჯილდოს ახალი წარმატებებით უნდა უპასუხონ. ბოლშევიკურად, მთელი შეუპოვრობით უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ ხელოვნების ყველა დარგი, შევქმნათ მუსიკის, თეატრის, კინოს, ცეკვის, სიმღერების ახალი შედევრები, შევქმნათ კლასიკური საბჭოთა ოპერები, რომელნიც გადმოსცემენ გამარჯვებული სოციალიზმის მთელ შინაგან სიდიადეს, მის მუსიკალურ ჰარმონიას.

ეს არის სავსებით დროული და კონკრეტული ამოცანა, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დააყენეს მუსიკალური კულტურის მუშაკთა წინაშე. კლასიკური საბჭოთა ოპერების შესაქმნელად საბჭოთა საქართველოს მუსიკოსებმა, მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი, რომ საბჭოთა კავშირის ხელოვნების მუშაკებთან ერთად ამ დარგშიც მოიპოვონ დიდი წარმატება.

ისტორია, გამოცდილება გვასწავლის, რომ ხელოვნების ყოველი დიდი ძეგლის, ყველა დიადი ნაწარმოების სათავე, მისი მასაზრდოებელი და გამამდიდრებელი წყარო ხალხური შემოქმედებაა. კლასიკური ოპერის „აბესალომ და ეთერის" უდიდესი წარმატება, რაც ერთხმად აღნიშნა მოსკოვის პრესამ, აიხსნება იმით, რომ მისი შემოქმედი ჭეშმარიტ ხალხურ წყაროებს ეყრდნობოდა და მისი მარგალიტებით სარგებლობდა.

ახალი, საბჭოთა კლასიკური ოპერის შექმნის გზაზე ჩვენ ნამდვილად გავიმარჯვებთ იმ შემთხვევაში, თუ ღრმად შევისწავლით საბჭოთა ხალხურ შემოქმედებას, ჩავწვდებით მის მარგალიტებს და მას სათანადოთ გამოვიყენებთ. ამიტომ გვმართებს შემდეგშიაც უდიდესი გულისყურით მოვეპყრათ ხელოვნების იმ დიად განძს, იმ წყაროს, რომელსაც ხალხური შემოქმედება ეწოდება.

პარტია და ხელისუფლება ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური დიადი კულტურა უფრო და უფრო აყვავდეს და გამდიდრდეს. დიდი სტალინი ყოველდღიურად მშობლიურად ზრუნავს ჩვენი ხელოვნების შემდგომი გაფურჩქნისათვის და გვასწავლის გულისხმიერ მოპყრობას ხელოვნების მუშაკთა არმიისადმი. ეს უდიდესი სტალინური ზრუნვა და დახმარება წარმოადგენს საბჭოთა კავშირში სოციალისტური ხელოვნების შემდგომი გაფურჩქვნის, მისი არნახული აყვავების აუცილებელ პირობას.

საქართველოს ბოლშევიკების გამობრძმედილი ხელმძღვანელი ამხ. ლავრენტი ბერია არის სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი იმ დიდი წარმატებისა, რომელსაც ქართულმა ხელოვნებამ მიაღწია. მის მზრუნველ ხელს, მის ყოველდღიურ დახმარებას და ხელმძღვანელობას უშუალოდ გრძნობენ საქართველოს ხელოვნების მუშაკები, რომელნიც ვალდებულნი არიან ახალი გამარჯვებებით, მორიგი ბრწყინვალე წარმატებებით უპასუხონ — და უპასუხებენ კიდეც — საბჭოთა ქვეყნის მაღალ შეფასებას.

დიდია გამარჯვება, დიდია თვით ამ გამარჯვებით გამოწვეული საბრძოლო ამოცანები. წინ, ახალ-ახალი გამარჯვებისკენ!

ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეთა მიღება კრემლში

მიღებას დაესწრნენ ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, პეტროვსკი, ეჟოვი, ბერია, კერჟენცევი და სხვ.

მოსკოვი, 15 იანვარი (საქდესი). გუშინ, 14 იანვარს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეთა — ოპერისა და ბალეტის არტისტთა, ეთნოგრაფიული გუნდების მომღერალთა და ქართული ხელოვნების სხვა წარმომადგენელთა მიღება.

მიღებას დაესწრნენ ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ორჯონიკიძე, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, პეტროვსკი, ეჟოვი, ბერია, კერჟენცევი, საბჭოთა კავშირის მარშლები ტუხაჩევსკი, ბლიუხერი, ბუდიონი და ეგოროვი.

პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელთა გამოჩენას დამსწრენი მქუხარე „ვაშათი" და აღფრთოვანებული ოვაციებით შეხვდნენ. გაისმა მისასალმებელი შეძახილები „ვაშა", „ურა".

თავის შესავალ სიტყვაში ხელოვნებათა საქმის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ პ. მ. კერჟენცევმა სთქვა:

— ჩვენ მოსკოვში მივესალმებით ჩვენს ქართველ ამხანაგებს, ხელოვნებათა მუშაკებს. ყველა ისინი, ვინც მათ მიერ შექმნილ საუცხოო სპექტაკლებს დაესწრო, ისინიც კი, ვინც ენა არ იცოდა, მოხიბლული იყვნენ არტისტების სიმღერითა და თამაშით, საქართველოს საუცხოო ხელოვნებით. ამხ. კერჟენცევი აცხადებს, რომ ქართული ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებნი შეტანილია მოსკოვისა და სხვა თეატრების 1937 წლის რეპერტუარში. ამხ. კერჟენცევი დღეგრძელობას უსურვებს ქართველ ხალხს და მის მშვენიერ ხელოვნებას. უკანასკნელი სიტყვები: „გაუმარჯოს ძმურ ქართველ ხალხს" — მქუხარე ტაშმა დაჰფარა.

შემდეგ გამოვიდა საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ამხ. ა. ს. თათარიშვილი, რომელმაც აღნიშნა: მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ხალხმა რევოლუციამდე დიდი გაჭირვება გადაიტანა, მან მაინც შესძლო შეენარჩუნებინა თავისი მდიდარი კულტურა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს გაიფურჩქნა და უმაგალითოდ გაიზარდა. ამხ. თათარიშვილი სვამს ამხანაგ სტალინის სადღეგრძელოს. ამ სადღეგრძელოს ყველა დამსწრე მქუხარე აღფრთოვანებული ოვაციით შეხვდა.

მოსკოვის ხელოვნებათა მუშაკების სახელით გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. მ. მოსკვინი, რომელსაც არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით მისი მოსწრებული სიტყვები. მან დამსწრეთ გაუზიარა ქართული სპექტაკლებისაგან მიღებული შთაბეჭდილებანი, იმ სპექტაკლებისაგან, რომლებმაც მაყურებლებს უდიდესი ესთეტიკური სიამოვნება მოჰგვარეს. ამხ. მოსკვინმა დალია ამხ. მოლოტოვის სადღეგრძელო, რასაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ქალმა ე. ლ. გვარამაძემ თავის მხურვალე გამოსვლაში მადლობა გადაუხადა მთავრობას იმ საუცხოო მიღებისათვის, რომელიც ქართული ხელოვნების წარმომადგენლებს მოსკოვში მოუწყეს. მან დალია დიდი საბჭოთა კავშირის, რუსი ხალხის, წითელი არმიისა და საბჭოთა კავშირის პირველი მარშლის ამხ. ვოროშილოვის სადღეგრძელო. ამ სადღეგრძელოსაც აგრეთვე მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ.

ამხ. მოლოტოვი საპასუხო სადღეგრძელოთი მიესალმა ქართველი ხალხის შესანიშნავ, ლამაზ ხელოვნებას, რომელიც სოციალიზმის სტალინური ქვეყნის დროშისა და მზის ქვეშ იფურჩქნება.

დიდ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა არტისტებმა, ეთნოგრაფიულმა გუნდებმა, სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის არტისტებმა და სხვ.

განსაკუთრებული წარმატებით გამოვიდნენ ქართული გუნდები ქ. პაჭკორიას და ა. კავსაძის ხელმძღვანელობით, დამსახურებული არტისტები ეკატერინე სოხაძე, დ. ანდღულაძე, ნ. ქუმსიაშვილი და სოლისტები მარიამ ნაკაშიძე, დ. ბამრეკელი და პ. ამირანაშვილი.

გულმხურვალედ შეხვდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტებს ვ. ბარსოვას და მ. რეიზენს, პიანისტ ლ. ობორინს, ვიოლინოს დამკვრელს დ. ოისტრახს, აგრეთვე ნ. ობუხოვას, მ. მიხაილოვს, ბ. ნორცოვს და ს. ლემეშოვს, რომლებიც დიდი წარმატებით გამოვიდნენ.

დასასრულ, გამოვიდა სსრ კავშირის წითელარმიული სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლი დამსახურებული არტისტის პროფესორ ა. ალექსანდროვის ხელმძღვანელობით, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ.

პროგრამის დამთავრების შემდეგ გონებამახვილი, მხიარული კუპლეტებით გამოვიდა დამსახურებული არტისტი ლ. კავსაძე, რომელსაც ძლიერი ტაშით შეხვდნენ.

მიღება რამდენიმე საათს გაგრძელდა. გაისმოდა ხმამაღალი, მხიარული და მელოდიური ქართული ხალხური სიმღერები. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გულთბილად ესაუბრებოდნენ ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეთ.

ასეთი აღფრთოვანებით ჩვენ ჯერ არ გვიმღერია

კრემლში გუნდმა ჩემი ხელმძღვანელობით შეასრულა რამდენიმე სიმღერა, მათ შორის „შარი-შური" ფანდურის თანხლებით.

მგონი არასოდეს უმღერია ჩვენს გუნდს ასეთი აღფრთოვანებით, მგონი არასოდეს უცეკვიათ ჩვენს მოცეკვავეებს კალანდაძეს და ჩოჩიშვილს ლეკური ასე კარგად.

გამოსვლის შემდეგ სტალინმა მიიხმო, ჩამომართვა ხელი, მომეხვია და შემდგომი წარმატება მისურვა.

ამ დაუვიწყარ წუთში სიხარულის და მადლობის ცრემლები მომადგა თვალზე.

მთავრობამ ორდენებით აღნიშნა ჩემი, აგრეთვე ვარდიაშვილის, ქეთევან მიქელაძის, ხეთაგურის და გუნდის სხვა მონაწილეთა მუშაობა. მოვალედ ვსთვლით ჩვენს თავს შემდგომი მუშაობითაც გავამართლოთ ეს საჩუქარი და უფრო და უფრო დავეუფლოთ ქართველი ხალხის მუსიკალური შემოქმედების ოქროს წყაროებს.

სანდრო კავსაძე
ხელოვნების დამს. მოღვაწე, ორდენოსანი

თბილისის საოპერო თეატრი

ღირსეულთა სიხარული

(მოსკოვი, 15 იანვარი, რადიოგრამა „კომუნისტის" საქ. კორესპონდენტისაგან)

ჯილდო მაღფრთოვანებს

მიღებაზე კრემლში მე სტალინის, მოლოტოვის და ვოროშილოვის გვერდით ვიჯექი. მათ შემდგომი წარმატებანი მისურვეს. ამ წუთებში მე მტკიცე სიტყვა მივეცი ჩემს თავს დაძაბული მუშაობით კიდევ უფრო გავაუმჯობესო ჩემი ხელოვნება.

კრემლში მიღებისას მე დავიწყე საკონცერტო განყოფილება კიაზოს არიით ოპერა „დაისიდან", ვმღეროდი დიდი აღფრთოვანებით, რადგან თვით ძვირფასი საყვარელი სტალინი მისმენდა. მოლოტოვმა შემაქო და მითხრა, მეტი ყურადღება მივაქციო ხალხურ სიმღერებს.

მიღებული ჯილდო მაღფრთოვანებს შემდგომი მუშაობისათვის.

მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს მთელი ძალღონე ჩვენი დიადი სამშობლოს აყვავებას შევსწირო.

პეტრე ამირანაშვილი
ოპერის სოლისტი, ორდენოსანი

ღიმილი ამკობდა ბელადის სახეს

კრემლში მიღებისას მთელი საღამო ერთი წუთითაც თვალი არ მომიშორებია საყვარელი სტალინისაგან. ღიმილი, შესანიშნავი სტალინური ღიმილი არ შორდებოდა მის სახეს. არაჩვეულებრივად უბრალოდ გველაპარაკებოდა ყველას, ასეთი მახლობელი, ასეთი მშობლიური. სიტყვები არ მყოფნის გამოვხატო ის გრძნობები, რომლებითაც აღსავსე ვარ.

დიდია ჩემი მადლობა, დიდია ჩემი სურვილი დაუღალავად განვაგრძო მუშაობა სოციალისტური მშენებლობის სასარგებლოდ.

სანდრო ინაშვილი
რეს. დამს. არტ. ორდენოსანი

ჩემი საჩუქარი ბელადებს

კრემლში გამართულ კონცერტზე მე გამოვედი სახუმარო სიმღერით „სპარსული ხალიჩა". ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე და სხვები მისმენდნენ და იცინოდნენ. შემაქეს.

კონცერტის ოფიციალური ნაწილის შემდეგ მე კვლავ გამოვედი. პარტიის და მთავრობის თვითეულ დამსწრე ხელმძღვანელს მე მივართვი თბილისიდან ჩამოტანილი თიხის ჭურჭელი, რომელზედაც გამოხატულია იმის პორტრეტი, ვისაც მივართვი. თვითეულ ძღვენს თან ვაყოლებდი ლექსს. საყვარელ სტალინს მე ვუძღვენი მარანი და თან მივაყოლე სიმღერა:

შენ არწივი ხარ დიადი,
მზე ხარ მსოფლიოს თვალისა,
სანამ მტკვარი მქუხს, იცოცხლე
საბედნიეროდ ხალხისა!

მივართვი რა ჩემი მცირედი საჩუქარი, ხელი ჩამოვართვი სტალინს, მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ორჯონიკიძეს, ვოროშილოვს, კოსიორს.

როცა მიღებიდან სახლში დავბრუნდი, გავიგე, რომ რადიოს გადაეცა მთავრობის დადგენილება ჩვენი დაჯილდოების შესახებ. დიდი სიხარულით აივსო ჩემი გული. მთელი ძალღონით ვიმუშავებ, რომ გავამართლო მაღალი ნდობა.

ლადო კავსაძე
რესპ. დამს. არტ., ორდენოსანი

ჩემი ცხოვრების საუკეთესო წუთები

საღამოს 6 საათი იქნებოდა, როდესაც მე ბალეტის არტისტებთან რამიშვილთან, ჭაბუკიანთან და ბაუერთან ერთად გავემგზავრე კრემლში.

შევედით სპასკის ჭიშკრიდან. მღელვარებით, აჩქარებული ნაბიჯით ვუახლოვდებოდით კრემლის დიდ სასახლეს. გიორგის დარბაზში ამ დროს მრავალმა ჩვენმა მსახიობმა მოიყარა თავი. აქ არიან მთელი შემადგენლობით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გუნდები, აქვეა ამხანაგი ლავრენტი ბერია.

ჩვენ მოუთმენლობის მღელვარებამ აგვიტანა და თვალს არ ვაშორებთ იმ კარებს, საიდანაც მშობლიური სტალინი უნდა გამოჩნდეს. ბოლოს ეს წუთიც დადგა. მქუხარე მისალმებებით შევხვდით ჩვენ საყვარელ ბელადს, მის სახელოვან თანამებრძოლთ. მქუხარე ოვაცია დიდხანს არ დამცხრალა, ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი საპასუხოდ ჩვენ გვიკრავენ ტაშს.

ლავრენტი პავლესძე ბერიამ წარმადგინა მე სტალინთან. დიდი ბელადი შემეკითხა:

— „რომელი რაიონიდან ხართ?

მე ვუპასუხე: „მეჯვრისხევიდან".

— ვიცი—სთქვა სტალინმა.

მე დიდი ბელადის გვერდით ვიდექი, ჩამოვართვი მას ხელი. არასოდეს არ დამავიწყდება ეს წუთები.

ჩემს მიერ მიღებული მაღალი საჩუქარი ბევრ რამეს მავალებს. თქმა არ უნდა გასამკეცებული ენერგიით ვიმუშავებ ჩემი ხელოვნების უფრო სრულყოფისათვის.

ი. სუხიშვილი
ბალეტის სოლისტი, ორდენოსანი

მთელი ჩემი სიცოცხლე ხელოვნებას ეკუთვნის

კრემლში გამართულ კონცერტზე ვიმღერე კომპოზიტორ დ. არაყიშვილის რომანსი და ჯილდას არია. სტალინი მოვიდა ჩემთან, მომილოცა წარმატება, ახალი წარმატებანი მისურვა და შემეკითხა ჩემს მუშაობაზე თეატრში. შემაქო აგრეთვე ვოროშილოვმა. მათ მირჩიეს კიდევ უფრო მეტი ვიმუშაო საკუთარ თავზე.

ეს რჩევა განსაზღვრავს მთელს ჩემს შემდგომ ცხოვრებას, რომელსაც მე მშობლიურ საბჭოთა ხელოვნებას ვუძღვნი. ბევრს ვიმუშავებ, რათა კიდევ უფრო გავიზარდო, წინ წავიწიო.

არასოდეს დამავიწყდება საყვარელი სტალინის მზრუნველი სიტყვები.

მერი ნაკაშიძე
ოპერის სოლისტი, ორდენოსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ხელოვნების სახელოვანო მუშაკებო წინ—

ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში

(მოსკოვი, 15 იანვარი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

13 იანვარს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდების მეორე დიდი კონცერტი. დარბაზი გაჭედილია ხალხით. სალაროში გამოკრულია განცხადება: „ყველა ბილეთი გაყიდულია“.

კონცერტის პირველ განყოფილებაში გამოვიდა დასავლეთ საქართველოს გუნდი კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით. დიდი ენტუზიაზმით მიესალმნენ დამსწრენი „სიმღერას ბელადზე“, რომლის შესრულებითაც დაიწყო კონცერტი, აგრეთვე „სიმღერას სტალინზე“, რომლითაც დამთავრდა პირველი განყოფილება.

დიდი წარმატება ხვდა გუნდის მიერ შესრულებულ გურულ და მეგრულ სიმღერებს, განსაკუთრებით კი „სულიკოს“. ეს სიმღერა მოსკოველებმა მოისმინეს პირველ კონცერტზე, მოისმინეს აგრეთვე რადიოთი და მან დაიპყრო მოსკოველთა სიმპატია. როდესაც კონცერტის შემდეგ საზოგადოება იშლებოდა, ბევრი ამ შესანიშნავ მელოდიურ მოტივს ღიღინებდა.

მქუხარე ტაში გამოიწვია მთიულურმა ცეკვამ და ლეკურმა, რომელიც შეასრულეს ანდრონიკაშვილმა და გოგილაძემ, აფხაზურმა ცეკვამ ჩახავას და სიხარულიძის შესრულებით.

კონცერტის მეორე განყოფილებაც აგრეთვე დაიწყო „სიმღერით სტალინზე“, რომელიც შეასრულა აღმოსავლეთ საქართველოს გუნდმა. დირიჟორობდა კავსაძე. ამ განყოფილებაში დამსწრეთა დიდი აღტაცება გამოიწვია ლეკურმა ნ. კერესელიძის და ყიფიანის შესრულებით. დიდი წარმატება ხვდა ოსურ ცეკვას „სიმგას“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ვ. ხეთაგური. ამ უკანასკნელმა ქართული ხელოვნების დეკადის განმავლობაში მოსკოველთა მხურვალე სიმპატია მოიპოვა.

ლეკური შეასრულეს აგრეთვე კალანდაძის ქალმა და გ. კავსაძემ. დასასრულ გამოვიდა გუნდის საერთო საყვარელი, 5 წლის შურა გაბრიელოვა. მისი მისამართით გაისმა მქუხარე ოვაცია, გაბრიელოვას შესანიშნავი ცეკვა „კინტაური“ განუწყვეტელი ტაშის ქვეშ მიმდინარეობდა.

კონცერტის დამთავრების შემდეგ თქვენი კორესპონდენტი ესაუბრა სანდრო კავსაძეს და კ. პაჭკორიას. მათი სიტყვით, ორივე გუნდის მონაწილენი არაჩვეულებრივად აღფრთოვანებული არიან იმ მიღებით, რომელიც მათ მოსკოვმა მოუწყო. წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა მათზე დიდ თეატრში გამოსვლამ, რომელსაც დაესწრნენ დიდი სტალინი, პარტიის და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები. ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ ეს დღე სამუდამოდ აღიბეჭდება მათ მეხსიერებაში.

დიდი წარმატებით ჩაიარა გუნდების გამოსვლამ მოსკოვის მუშათა რაიონებში. კ. პაჭკორიას სიტყვით, განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო გამოსვლა „კაუჩუკის“ კლუბში.

O

მოსკოვის გაზეთები განაგრძობენ წერილების ბეჭდვას გუნდების გამოსვლაზე. კომპოზიტორი ლევ კნიპერი „რაბოჩაია მოსკვაში“ სწერს:

„სრულიად არაჩვეულებრივია ქართული სიმღერის მრავალფეროვნება და სიმდიდრე. ეთნოგრაფიულმა გუნდმა კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით ყველაზე ძნელ ხელოვნებას მიაღწია — ფრაზის დიდ უბრალოებას, სიცხადეს, შესრულების არაჩვეულებრივ სითბოს. საუცხოო, მხურვალე, ტემპერამენტიანი, ტექნიკურად სრულყოფილია ქართული ცეკვა. კოლოსალურ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი ემოციურობით და საუცხოო ფორმით ხორუმი“.

O

13 იანვარს დიდ თეატრში მესამედ წარმოდგენილ იქნა „ქეთო და კოტე“, რომელმაც ისეთივე წარმატებით ჩაიარა, როგორც პირველ დღეს. სპექტაკლს დაესწრნენ საკავშირო ცაკის სესიის დელეგატები.

O

14 იანვარს „პრავდამ“ მთელი გვერდი უძღვნა ქართული ხელოვნების დეკადას. გვერდი იხსნება დირიჟორ ე. მიქელაძის წერილით, რომელიც ეხება საქართველოს მუსიკალური შემოქმედების აყვავებას. ე. სოხაძე მოგვითხრობს თავის შემოქმედებით მუშაობაზე.

გვერდში მოთავსებულია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ლეონიდოვის წერილი, რომელშიაც ის სწერს: „რეჟისორული მუშაობა ქართული ოპერის სპექტაკლებში ხასიათდება დიდი კულტურით. მთავარ რეჟისორს ა. წუწუნავას დიდი ტაქტი ახასიათებს. ის, როგორც დირიჟორები მიქელაძე და აზმაიფარაშვილი, ყველაფერს შემსრულებლისათვის აკეთებს, თითქოს აკომპანემენტს ეუბნება მას. ოპერაში არ არის ცალკე სოლისტი, გუნდი, ბალეტი. აქ ყველაფერი თავმოყრილია ერთ მთლიან ერთეულად, მოცემულია ერთ მთლიან მხატვრულ სახეში“.

ეხება რა ცეკვას, ლეონიდოვი აღნიშნავს: „რამდენი მოუჯადოებელი გამომეტყველებაა ლეკურის თამაშში. ეს მთელი მოთხრობაა, რომელიც გვაღელვებს თავისი მშვენიერი უშუალობით, სიუჟეტური სისრულით, უდიდესი ემოციურობით. თვით გუნდის განაწილებაშიც კი სცენაზე, გამოუთქმელი სილამაზეა, რომელიც ჩვენი შემსრულებელთა შესანიშნავ კოლექტივებსაც კი შეშურდებათ“.

O

„მხატვრული გამდიდრების წყარო“ — ამ სათაურით „პრავდა“ ბეჭდავს ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კერჟენცევის სტატიას, რომელშიაც ის აღნიშნავს ქართული ხელოვნების დეკადის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას. კერჟენცევი სწერს: „ქართული ოპერის უდაო წარმატება მოსკოვში ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს საოპერო ხელოვნებისათვის ხალხური მელოდიების სიმდიდრე“.

კერჟენცევი აღნიშნავს დირიჟორ მიქელაძის მშვენიერ მუშაობას, მან ბევრი გააკეთა ქართული მუსიკის პროპაგანდისთვის.

ლაპარაკობს რა პერსპექტივებზე, კერჟენცევი სწერს: „საქართველოს საოპერო თეატრმა ახლა უნდა იმუშაოს საბჭოთა თემატიკაზე აგებული ოპერის შექმნისათვის, რუსულ კლასიკურ ნაწარმოებთა ქართულ ენაზე ჩვენებისათვის“.

O

14 იანვარს „იზვესტიამ“ მოათავსა მეთაური წერილი სათაურით „სოციალისტური საქართველოს ტალანტები“. ეს მეორე მეთაური წერილია ქართული ხელოვნების დეკადის განმავლობაში.

O

13 იანვარს პირველ კინო-თეატრში დაიწყო საქართველოს სახკინმრეწვის ახალი ფილმის „დარიკოს“ ჩვენება. ყველა სეანსში მაყურებლები დიდი აღფრთოვანებით ხვდებიან სურათს.

გ. ხუბოვი

ქართველი ხალხის ცეკვა-სიმღერები

ამბობენ, რთული ჩაწერა ნოტებით ფრიად არასრულყოფილია, მას არ შეუძლიან მთლიანად გადასცეს კომპოზიტორის შემოქმედებითი ნააზრევიო. შეიძლება ეს მართალიც იყოს. მაგრამ მაშინ როგორღა უნდა აისახოს, როგორღა უნდა აღიბეჭდოს ქართული ხალხური მუსიკა თავისი მელოდიკის მთელი უშრეტი სიმდიდრით, თავისი თვითმყოფი ჰარმონიით, თავისი იმპროვიზებული პოლიფონიით, თავისი უაღრესად ორიგინალური ინსტრუმენტალიზმით? როგორ უნდა გადაიცეს საქართველოს ხალხური მომღერლებისა და მოცეკვავეების — ამ შესანიშნავი პოეტების, მრავალსაუკუნოვანი დიადი კულტურის შთაგონებულ შემოქმედთა — შესრულებითი ხელოვნების მომხიბლაობა და ძალა?

შეიძლება აღვწეროთ ეს ხელოვნება, შეიძლება ვილაპარაკოთ მასზე დიდხანს და წარმტაცად, მაგრამ თვით უნიჭიერესად ნაამბობიც კი ქართული ხალხური სიმღერის, ქართული ხალხური ცეკვის შესახებ მუდამ იქნება ორიგინალის მხოლოდ მკრთალი ასლი.

„მეცნიერული“ ტერმინოლოგია აქ უმწეოა, საუცხოო სახეები და შედარებანი აქ არასაკმაოა. უნდა ნახო და მოისმინო ეს ხელოვნება, უნდა იცოცხლო მით და ისუნთქო იგი, რომ გაიგო მაღალი სიბრძნე იმ ხალხური მუსიკალური კულტურის სიმარტივისა, რომელმაც ცოცხალი სილამაზის ამდენი ნამდვილი ნიმუში მოგვცა.

ქართულ სიმღერათა მელოდიები საუკუნეობით ცოცხლობენ და მათგან უძველესნიც კი — სვანური, გურული, კახური, ქართლური — გვატყვევებენ თვითმყოფი ძალით, გულუბრყვილობით, მკაფიობით, სილ-[illegible]

ქართული ხალხური სასიმღერო კულტურა ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, ვინაიდან საქართველო არის სამშობლო უძველესი და უაღრესად ორიგინალური მელოდიური პოლიფონიისა, ე. ი. ერთ სიმღერაში რამდენიმე (მეტწილად სამი, იშვიათად — ორი და ოთხი), მუდამ დამოუკიდებელი, ორიგინალური, ბრწყინვალე მელოდიის შეხამება — შექსოვისა. თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ ქართული ხალხური მუსიკის რიტმიკის განსაკუთრებულ სიმდიდრეს, მისი გამოხატვის ფორმათა მრავალ ფეროვნებასა და სიახლეს, ჟანრების, თემების, სიუჟეტების მრავალფეროვნებაზე რომ აღარა ვთქვათ რა, გასაგები გახდება, რომ ქართველი ხალხი დამსახურებულად ითვლება მსოფლიოს ერთერთ უმუსიკალურეს ხალხად.

ხელოვნება ამ შემოქმედებითი კოლექტივებისა, რომლებიც ჩვენს საბჭოთა დროში აღიზარდნენ და განმტკიცდნენ, — ეს თვით ცხოვრებაა. იგი დიდებულია და მრავალფეროვანი, როგორც ბუნება.

დასავლეთ საქართველოს გუნდი კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს გუნდი სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით — ნამდვილად ხალხური მუსიკალური კოლექტივებია. ნამდვილად რომ ვთქვათ, ამ კოლექტივების მუშაობის შინაარსი გაცილებით ფართოა ით სახელწოდებაზე („ეთნოგრაფიული გუნდები“). კ. პაჭკორიას გუნდისა და ა. კავსაძის გუნდის შემადგენლობაში არიან მომღერლები, მოცეკვავეები, ინსტრუმენტალისტები (სიმებიან საკრავთა ანსამბლები: ა. კავსაძესთან მეფანდურეები, კ. პაჭკორიასთან მეჩონგურეები; გარდა ამისა, მცირე ინსტრუმენტალური ანსამბლი (ცეკვის ასაყოლებლად — დუდუკი, ზურნა, დიპლიპიტო, დოლი და დაირა).

ქართული ხალხური გუნდების შესრულებას რომ უსმენ, უნებლიეთ გაგონდება ანტიკური ქვეყნის გუნდების საუცხოო ქმედობის წარმტაცი აღწერა. მაგრამ — დაე მოგვიტევონ ანტიკურობის მეცნიერმა მკვლევარებმა — ქართველი ხალხის საგუნდო ხელოვნება უფრო მდიდარია ან, ყოველ შემთხვევაში, ანტიკურს არ ჩამოუვარდება!

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა კ. პაჭკორიას გუნდი, რომელიც დასაწყისიდანვე, პირველი ფრაზებიდანვე მსმენელებს იტაცებს და ატყვევებს. მთელი რიგი სიმღერები და ცეკვები, რომლებიც ამ გუნდმა გუშინ დიდი თეატრის სცენაზე ოსტატურად შეასრულა, ნამდვილი სიმფონიური პოემებია.

ასეთია, მაგალითად, საუცხოო, დიადი და სადა ხალხური „სიმღერა ბელადზე“, რომელსაც გუნდი მეჩონგურეთა ანსამბლთან ერთად ასრულებს.

ეს სიმღერა ისეთი გასაოცარი ოსტატობით, მხატვრული გამოხატვის საშუალებათა ისეთი მრავალფეროვნებით (დუეტისა და გუნდის რიგრიგობა, რბილი მელოდიური რეჩიტატივი და სხვ.) არის მოცემული, რომ პირდაპირ გაოცებს — ნუთუ ეს „დამუშავებული“ არ არის. მაგრამ არა, ეს დამუშავებული არ არის, ეს არის ნამდვილი ხალხური კლასიკა.

არანაკლებ ძლიერია მეორე სიმღერა — „სტალინზე“, რომელსაც უდიდესი აღფრთოვანებით ასრულებს იგივე გუნდი ცნობილი ლექსის — „საქართველოს მშრომელთა წერილი ამხანაგ სტალინს“ — სიტყვების მიხედვით, და იმერული „გამარჯვების სიმღერა“, რომელშიც არ შეიძლება არ აღინიშნოს შესანიშნავი წარმართვა ხმებისა, განსაკუთრებით ბანების მკაფიო, ინტენსიური მოძრაობა.

ხალხური მუსიკის რბილი, გულში ჩამწვდომი ლირიკა მოცემულია საუცხოო სიმღერებში: „სულიკო“, „დიდაო ნანა“ (მეგრული ნანა), „ჩელა“ (მეგრული ურმული), „კუჩხა ბედნიერი“ (მეგრული მაყრული) და ბევრ სხვაში. ეს სიმღერები ასახავენ დასავლეთ საქართველოს პეიზაჟის საუცხოო, რბილ კოლორიტს.

დიდი სახვითი ნიჭია ჩაქსოვილი „ჩონგურულში“: ამ სიმღერაში გუნდის ფონზე, რომელიც ჰბაძავს ხალხური (სიმებიანი) ინსტრუმენტის ჩონგურის ხმას, — ორი მომღერალი სოლისტი თითქოს ეჯიბრება ერთმანეთს თავისი მელოდიური თემების ლამაზად და მწყობრად გატარებაში.

ორიგინალური ქართული პოლიფონიის ოსტატობა ყველაზე უკეთ მოსჩანს გურულ სიმღერებში: „ჩემო ნათლისდედაო“, „გურული საკოლმეურნეო“ (შაირული), „ხასანბეგურა“, გურულ საგუნდო ცეკვაში („ფერხული“, „ლეკური“) და სხვ... პოლიფონიური (მრავალხმიანი) სტრუქტურის (მაღალი ხმის — „კრიმანჭულის“ დამახასიათებელი იმპროვიზებული ქარგით) სირთულის, მე ვიტყოდი — პირდაპირ ვირტუოზობის, მიუხედავად, ეს სიმღერები განსაკუთრებით მარტივი, გასაგები და ადვილად მისაწვდომია.

ქართული ხალხური სიმღერა (როგორც ხალხური სიმღერების უმრავლესობაც) მჭიდროდ არის დაკავშირებული მოქმედებასთან, ცეკვასთან. ამ ცეკვათა ჟანრები, სიუჟეტიკა, ხასიათი მეტისმეტად მრავალფეროვანია, მაგრამ საქართველოს ხალხურ ცეკვათაგან ყველაზე პოპულარულია ცოცხალი წარმტაცი „ლეკური“. ეს ცეკვა ცოცხლობს და ხალხი მას ასრულებს ურიცხვი ვარიანტით, თვითეული მათგანი იძლევა ახალ ნიშნებს, ახალ დეტალებს, ახალ მკაფიო მონახაზებს. და ეს საუცხოოდ გვიჩვენეს ხალხურმა მოცეკვავეებმა კ. პაჭკორიას და ა. კავსაძის კოლექტივებიდან.

ორივე კოლექტივის მიერ შესრულებულმა სიმღერებმაც და ცეკვებმაც საუცხოოდ ჩაიარა და მაყურებლებში დიდი წარმატება მოიპოვა. არ შეიძლება არ აღინიშნოს მათი კოლექტიურად და სოლოდ შესრულების სიზუსტე და მკაფიობა. საუცხოოა აგრეთვე დიქციაც. ყველაფერში, სულ უმცირეს დეტალებშიც კი, მოსჩანს დიდი, დაუღალავი მუშაობა.

კ. პაჭკორიას და ა. კავსაძის ხალხური კოლექტივების ხელოვნება მთელი საბჭოთა კავშირის უფართოესი მასების კუთვნილება უნდა გახდეს. ქართული ხალხური მუსიკის საუკეთესო ნიმუშებზე უნდა ისწავლონ ჩვენმა კომპოზიტორებმა და შემსრულებლებმა, მათ უნდა ახსოვდეთ მ. გორკის ბრძნული სიტყვები:

„ხალხი მარტო ის ძალა როდია, რომელიც ჰქმნის ყველა მატერიალურ ღირებულებას, იგი სულიერ ღირებულებათა ერთადერთი და უშრეტი წყაროა; იგი შემოქმედების დროის, სილამაზისა და გენიალობის მიხედვით პირველი ფილოსოფოსი და პოეტია, რომელმაც შექმნა ყველა დიდი პოემა, დედამიწის ყველა ტრაგედია და უდიდესი ჰანგი — მსოფლიო კულტურის ისტორია“.

(„პრავდა“)

აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდის გამოსვლა სსრ კავშირის აკადემიურ დიდ თეატრში 8 იანვარს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით.

(„სოიუზფოტო“)

„ჩვენ ხელოვნების მხრივაც პირველნი უნდა ვიყოთ მსოფლიოში“

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ი. მ. მოსკვინის გამოსვლა ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეთა მიღებაზე კრემლში

ამხანაგებო, მე მინდა რამდენიმე სიტყვა გითხრათ მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა მრავალათასიანი არმიის სახელით.

ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, ძმებო, დიადი ქართველი ხალხის შესანიშნავო ხელოვანნო! ჩვენ ღრმეს მადლობას გიძღვნით იმ მხატვრული სიხარულისთვის, იმ ღრმა მღელვარებისთვის, რომელიც განგვაცდევინეთ თქვენი საუცხოო წარმოდგენებით; და რა კარგად მოიქეცით, რომ ჩამოგვიტანეთ თქვენი კლასიკური ოპერები, სადაც უდიდეს როლს თამაშობს თქვენი ხალხი. კლასიკური ოპერით, ხალხური სიმღერით, მისი მუსიკით უფრო ადვილად იგრძნობა ხალხის ყოფაცხოვრება, მისი სული, მისი სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

მე არ შემიძლიან მოგცეთ სრულფასოვანი მუსიკალური კრიტიკა თქვენი წარმოდგენებისა — მე არა ვარ მუსიკოსი, და თქვენ არც გესაჭიროებათ ეს ჩემგან: თქვენ უკვე ბლომად წაიკითხეთ საუცხოო შეფასებანი ჩვენი მუსიკალური კრიტიკოსების მხრივ. მე, რასაკვირველია, შემეძლო მესესხა მათგან, მაგრამ ეს არ ეკადრება ჩემს ხანს, ესეც არ იყოს, თქვენ, არც დამიჯერებდით.

მე კი გეტყვით, როგორც მსახიობი, რომელიც თეატრის საქმეში დავბერდი, თუ რას მივაქციე ყურადღება თქვენს წარმოდგენებში. ჯერ ერთი, თქვენ დაარღვიეთ საუკუნოებრივი ტრადიცია — თქვენი კლასიკური ოპერის მოსმენა არა თუ მოსაწყენი არ არის, არამედ მეტად ამაღელვებელიცაა. მე ჩემი მწარე გამოცდილებით ვიცი, თუ რა მოსაწყენია ყოველთვის კლასიკური ოპერის მოსმენა, რომელშიაც ჩვეულებრივ ძალიან ცოტაა მოქმედება — ყველაფერი საუცხოო მუსიკითა და სიმღერით ამოიწურება. დაი, სწორედ აქ იწყებოდა მუდამ ჩემი წამება. სცენაზე მეტწილად დადიოდნენ რაღაც მოზეიმე, უსულო არსებანი, როგორც ცალიერი ფუტლარები ან ორფეხა გრამოფონები; ეს განსაკუთრებით ყურსა და თვალში გეცემოდა გერმანული შესრულების დროს, სადაც მეტწილად ხორხისმიერი საყვირის ხმით მღერიან.

მახსოვს, დრეზდენში ვაგნერის ოპერებზე, სადაც შესანიშნავი ორკესტრი უკრავდა, მე თავს ვშველოდი მხოლოდ იმით, რომ სცენის ნაცვლად მივჩერებოდი ჩემს წინ მჯდომი მოქალაქის ზურგს და ვისმენდი მომჯადოებელ მუსიკას (სიცილი).

თქვენი ხალხი სცენაზე მუდამ ცოცხლობს, მოქმედებს. იგი სცენაზე ჰქმნის თბილ, ცოცხალ ატმოსფეროს, ერთვის მომქმედ პირებს, რომელნიც ურთიერთს ეხმარებიან. შემდეგ მე უნდა ვთქვა, რომ თქვენი რეჟისორები შესანიშნავად ახდენენ ხალხის განლაგებას — აღწევენ სრულ ჰარმონიას დეკორაციების არქიტექტურულ ხაზთან. გარდა ამისა, სასიხარულოა ის, რომ თქვენს შესრულებაში მაღალი ნოტების დროს თითქმის სრულიად არ შეიმჩნევია „თითის წვერებზე“ შედგომა. ძალიან მახინჯდება თვითეული სახე, როცა შემსრულებელი, როგორც კი მიუახლოვდება მაღალ ნოტას, ერთ ფეხს უკან გასწევს, მეორეთი კი შედგება თითის წვერებზე და, რაც უფრო მაღალია ნოტა, იმდენად უფრო მაღლა სწევს იატაკიდან ტერფს, თითქოს იგი ნოტას თავისი არსებიდან კი არ იღებს, არამედ კორპის საძრობით იატაკიდან ამოაქვსო (სიცილი). რა საშინელი საოპერო ტრადიციაა! აბა, წარმოიდგინეთ ოპერისა კი არა, დრამის არტისტი თავისი როლის ძლიერ მომენტში შესდგეს თითის წვერებზე, — მას პარტნიორიც და მთელი საზოგადოებაც გიჟად ჩასთვლის. სრულებითაც არა ჰგავს ეს სინამდვილეს, ცხოვრებას (სიცილი, ტაში).

ახლა ავიღოთ თქვენი ცეკვა. რა შეიძლება ითქვას მის შესახებ? აქ საჭიროა მხოლოდ იძახო „ვაჰ“ და „ოჰ“ — ერთი სიტყვით, აღტაცება გამოხატო.

თქვენი ქალების ცეკვა სინარნარისა და სიმსუბუქის მხრივ შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ფრინველთა ფრენას, — არა გრძნობთ მათს მიკარებას იატაკზე, თითქოს უხილავი ფრთები ესხათ. მერე ხელები? ეს ხომ მოძრაობის მთელი სიმფონიაა.

მამაკაცებისთვის, რასაკვირველია ფრინველების მიბაძვა უფრო ძნელია. მათი ფეხები მოსჩანს, მაგრამ ისინიც შესანიშნავი არიან გრაციისა და სიმსუბუქის მხრივ.

მე როგორც მსახიობს ამ ცეკვაში მაოცებს ის, რომ უდიდესი მგზნებარე შინაგან ტემპერამენტთან ერთად მოცეკვავენი აღწევენ მოძრაობის ასეთ სინარნარეს, მკაფიობას და უაღრეს კეთილშობილებას (ტაში).

დიახ, დიდი მხატვრული სიხარული ჩამოგვიტანეთ თქვენ სახელოვანი საქართველოდან! თქვენ ბევრი რამ გაქვთ საამაყო, ხოლო ჩვენ ბევრ რამეთი შეგვიძლიან აღტაცებული ვიყოთ. და რა ბრძნულად იქცევა ჩვენი მთავრობა, რომ საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ხელოვნებას. ეს საჩვენებელი წარმოდგენები საშუალებას გვაძლევენ ჩვენ, ხელოვნების უფროს ოსტატებს, გავუზიაროთ ერთმანეთს აზრი, გავუზიაროთ გამოცდილება. მთელი ჩვენი ქვეყანაც ხომ ასე შენდება — „ერთი ყველასათვის — ყველა ერთისათვის“, და ცუდად როდი გამოდის. ჩვენ ხელოვნების მხრივაც პირველნი უნდა ვიყოთ მსოფლიოში; ჩვენი მოვალეობაა, მივაღწიოთ ამას, ჩვენი მთავრობა მოგვიწოდებს აქეთკენ, მაშასადამე, ეს ასედაც იქნება. ავწიოთ უკლებლივ ყველამ ჭიქები და ვადღეგრძელოთ ჩვენი მთავრობის მეთაური ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი. (ტაში).

მეჩონგურეთა ანსამბლი ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით

„ამ გამარჯვებამ კიდევ უფრო აღგვაფრთოვანა“

ერევანი, 15 იანვარი (საქდესი). ერევანში დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას ოპერისა და ბალეტის თბილისის თეატრის და მოძმე ორდენოსანი საქართველოს ხელოვნების მუშაკთა დაჯილდოვების შესახებ. ერევნის ოპერის, დრამის სახელმწიფო თეატრისა და კონსერვატორიის კომპოზიტორები, არტისტები და მუშაკები მოხარული არიან ქართული ხელოვნების დეკადის განსაკუთრებული წარმატების გამო მოსკოვში. ერევნის ოპერის დირექტორი, დამსახურებული არტისტი ვაგარშიანი ამბობს:

„მოძმე ქართველი ხალხის მორიგი უდიდესი გამარჯვება, რომელიც მოპოვებულია ამხ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით, ერთერთი უშესანიშნავესი გამოვლინებაა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ყოველდღიური მზრუნველობისა თეატრისა და კულტურის განვითარებაზე ნაციონალურ რესპუბლიკებში. ერევნის ახალგაზრდა საოპერო თეატრი, ემზადება რა თავის დეკადისათვის მოსკოვში, ყოველმხრივ გამოიყენებს თავის თანამოძმის — თბილისის თეატრის უმდიდრეს გამოცდილებას და დიდ კულტურას“.

დამსახურებული არტისტი ციკანუშ დანიელიანი ამბობს:

„მე, არა თუ მახარებს, არამედ ვამაყობ კიდევაც თბილისის საოპერო თეატრის ბრწყინვალე მიღწევებით, რომელიც ჩვენი მშვენიერი სამშობლოს კულტურისა და ხელოვნების აყვავების შედეგია. გულითადად ვულოცავ ჩემს კოლეგებს მიღწეულ წარმატებებს“.

„მგზნებარე სალამს ვუძღვნი ქართული ოპერის ნიჭიერ მუშაკებს, — ამბობს სახალხო არტისტი აროუს ვოსკანიანი. — ამ გამარჯვებამ კიდევ უფრო აღგვაფრთოვანა პირველი სახელმწიფო თეატრის არტისტები, რომლებიც „გატაცებით ვმუშაობთ გმირული ქართული პიესის „არსენას“ დადგმაზე“.

დამსახურებული არტისტი შარატალიანი ლაპარაკობს:

„მზიანი საქართველოს სიმღერები უყვართ სომხეთის მშრომელთ. მე, მუსიკალობის მხრივ ამ განმაცვიფრებელ სიმღერათა შემსრულებელი, დიდად გამახარა ცნობამ ქართული ხელოვნების ოსტატთა დამსახურებული დაჯილდოვების შესახებ“.

ერევნის სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორი პროფესორი სარაჯევი სწერს:

„ხელოვნების ყველა დარგის უდიდესი აყვავება და ჩვენი ძმების ასეთი მკაფიო წარმატებანი გვაფრთოვანებს უფრო ღრმა და სერიოზული მუშაობისათვის. მხურვალედ მივესალმებით და ვულოცავთ ძმებს — ქართველებს“.

ერევნის სახელმწიფო ოპერისა და კონსერვატორიის კოლექტივმა მისალმება გაუგზავნა საქართველოს ხელოვნების მუშაკებს. (საქდესი).

ხალხური შემოქმედების გამარჯვება

ქართული თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთა უდიდესი გამარჯვება უღრმეს სიხარულს მგვრის. ეს არის გამარჯვება მთელი ქართული ხალხური შემოქმედებისა, რომელიც ასე მკაფიოდ და მჩქეფარედ გამოვლინდა მხოლოდ ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით, რამაც გამოაჩინა ხალხში არსებული ყველა საუკეთესო ძალები.

ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა ჩემში ყოველთვის აღტაცებას იწვევდა, მაგრამ მე დარწმუნებული არ ვიყავი რომ ჩემი შეფასება ობიექტური იყო, ვინაიდან მე თვითონ ამ ხალხის შვილი ვარ.

ის მაღალი ჯილდო, რომელიც თბილისის საოპერო თეატრმა და ქართული ხელოვნების მუშაკებმა მიიღეს, ჩემდა სასიხარულოდ, ამტკიცებს, რომ ქართული ხელოვნება მართლაც უდიდეს სიმაღლეზე დგას და რომ მისი უფრო ფართოდ და ღრმად განვითარებისათვის ყველა პირობა გვაქვს ჩვენი დიადი პარტიისა და მთავრობის დახმარებით.

პროფ. ნ. მუსხელიშვილი

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილე

ხარობს გული...

ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში — ეს ისტორიული მოვლენაა. ის ერთხელ კიდევ ამტკიცებს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სისწორეს.

ასეთი ამბები არა თუ აახლოვებენ ჩვენი მრავალერიანი სოციალისტური სამშობლოს ხელოვნების მუშაკებს, არამედ ძალებს ჰმატებენ, ახალი შემოქმედებითი მიღწევების სტიმულს აძლევენ მათ.

ძველად ქართველ მსახიობს საოცნებოდ ჰქონდა გადაქცეული თბილისის სცენაზე გამოსვლა, ახლა კი ჩვენი არტისტები მთელი საბჭოთა კავშირის წითელ დედაქალაქში გამოდიან და მოსკოველთა მოწონებას იმსახურებენ. ხელოვნების მუშაკი ჩვენში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს, ის მუდამ გრძნობს პარტიისა და მთავრობის, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის გულთბილ დამოკიდებულებასა და მზრუნველობას.

სად, რომელ ქვეყანაში შეხვდებით კიდევ ასეთ სიყვარულს, ასეთ მამობრივ ზრუნვას! და ამის შედეგია, რომ ასე სწრაფად ვითარდება ხელოვნებისა და მეცნიერების ყველა დარგი, ასეთი გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ ხალხის კულტურა.

სოციალიზმის ქვეყანაში შემოქმედებითი მუშაობის ფართო ასპარეზია გადაშლილი ახალგაზრდობის წინაშე. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში საქართველოში აღიზარდნენ მსახიობთა, მომღერალთა, თეატრისა და ხელოვნების მოღვაწეთა ნიჭიერი კადრები.

თუ რა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან პარტია და მთავრობა ხელოვნების მუშაკებს, სჩანს იქიდან, რომ ხალხთა დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი და მისი მახლობელი თანამებრძოლნი დაესწრნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ოთხივე პრემიერას მოსკოვის დიდ თეატრში და აგრეთვე გუნდების კონცერტს.

თბილისის საოპერო თეატრის წარმოდგენები მოსკოვში მთელი საბჭოთა ხელოვნების დღესასწაულად გადაიქცა. ის ფაქტი, რომ დიდი თეატრის რეპერტუარში შეტანილია ორი ქართული ოპერა („აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“), მოწმობს, თუ რაოდენი წარმატება ხვდა ქართულ მუსიკას. რუსეთის მთელ რიგ გამოჩენილ კომპოზიტორებს არაერთხელ მიუმართავთ მდიდარი ქართული მელოდიებისათვის და გამოუყენებიათ ისინი თავიანთ ნაწარმოებებში. ქართული ოპერების შეტანა წითელი დედაქალაქის საოპერო თეატრის რეპერტუარში ხელს შეუწყობს ქართული მუსიკის უფრო ახლოს გაცნობას საბჭოთა კომპოზიტორების მიერ და გაამდიდრებს მათს შემოქმედებას.

გული ხარობს, როდესაც ვხედავ ქართველი ხალხის კულტურის ასეთ აყვავებას. მე ღრმად მრწამს, რომ ყოველი ახალი დღე ახალ-ახალი მარგალიტებით შეამკობს ჩვენს ბრწყინვალე ცხოვრებას.

შალვა დადიანი

რესპუბლიკის სახ. არტისტი

ქართული ხელოვნების დღესასწაული

არაჩვეულებრივი წარმატებით ჩაიარა ქართული ხელოვნების დეკადამ მოსკოვში. წითელი დედაქალაქი აღტაცებით ხვდებოდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წარმოდგენებს, მომღერალთა გუნდების და მოცეკვავეების გამოსვლას.

ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში — ეს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის წარმატებათა მკაფიო დემონსტრაციაა, ქართული მუსიკალური ხელოვნების სწრაფი ზრდის ილუსტრაციაა.

ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე ჰქმნიდა თავის შესანიშნავ სიმღერებსა და ცეკვებს. სიმღერა იყო მისი გამხარებელი ლხინში და გამამხნევებელი ჭირსა და ჭარამში. ეს უმდიდრესი მუსიკალური ფოლკლორი მეფის თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკისა და მენშევიკების უნიათობის გამო გათელილი დავიწყებული და გამოუყენებელი იყო.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გაუხსნა გზა ქართველი ხალხის მუსიკალურ ნიჭს. სწრაფად აყვავდა და გაიფურჩქნა საოპერო ხელოვნება, რომელიც დღეს 12 ნაციონალურ ოპერას ითვლის. წამოიზარდნენ კომპოზიტორთა და მომღერალთა ახალი კადრები, ამაღლდა ხალხის მუსიკალური დონე.

მაგრამ განა მარტო მუსიკალური ხელოვნება გაიფურჩქნა! დრამატიული თეატრი? ისიც ხომ არაჩვეულებრივ სიმაღლეზე ავიდა. პარტიისა და მთავრობის, პირადად ჩვენი საყვარელი ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით ქართული თეატრი მწვერვალს მწვერვალზე იპყრობს და მტკიცედ სდგას საბჭოთა კავშირის მოწინავე თეატრების რიგში.

რა უმწეოდ, რა საცოდავად გამოიყურება ამასთან შედარებით ის, რაც ქართულმა თეატრმა წარსულში განიცადა!

მსახიობობა საბჭოთა კავშირში საპატიო პროფესიაა. მსახიობი უყვარს ხალხს, მას ტაშს უკრავენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. ბედნიერი არიან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის არტისტები: მათი ხელოვნება ნახა და მათ ტაშს უკრავდა ჩვენი დროის უდიდესი ადამიანი, ახალი კაცობრიობის გენიალური მესაჭე, ხალხთა ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი.

ეს ახალ ამოცანებს აკისრებს ხელოვნების მუშაკებს, მათ შორის ჩვენც, დრამატიული ხელოვნების წარმომადგენლებს. ჩვენ დაუღალავად უნდა ვიმუშაოთ, კიდევ უფრო მაღლა უნდა ავწიოთ ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ხელოვნების დროშა, ახალ-ახალი მიღწევებით გავამართლოთ პარტიის ყურადღება და ნდობა.

ქართული ხელოვნების დეკადის წარმატება მოსკოვში შემთხვევითი მოვლენა როდია. ეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 16 წლის ნაყოფიერი მუშაობის შედეგია, ეს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალედ გატარების შედეგია.

მხურვალე სალამი ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეებს!

დოდო ანთაძე

მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელი, რესპ. დამს. არტისტი

◆

ჩემი სიხარული

მე წილად მხვდა უდიდესი პატივი — კრემლში მიღებისას მისასალმებელი სიტყვით მიმემართა ჩვენი თეატრის კოლექტივის სახელით პარტიისა და მთავრობის ძვირფასი ხელმძღვანელებისათვის. მე მადლობა გადავუხადე მათ გულთბილი მიღებისათვის და მისალმებით მივმართე დიდ ბელადს, ძვირფას მასწავლებელს სტალინს, პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელებს.

ამხანაგ ვოროშილოვის სახით მე მივესალმე ჩვენს სახელოვან წითელ არმიას.

ბავშვობაში მე ვცეკვავდი სოფლის მინდვრებზე, ახლა კი მოსკოვში გამოვედი დიდ თეატრში, საბჭოთა კავშირის საუკეთესო სცენაზე!

დიდი მადლობა ჩვენს ძვირფას ბელადებს, რომლებმაც მაღალი საჩუქრით აღნიშნეს ჩემი მუშაობა.

ლილი გვარამაძე

რესპ. დამს. არტისტი, ორდენოსანი

ჯილდო მავალებს...

კრემლის სასახლის დარბაზში ერთ მაგიდასთან ვიჯექი პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელებთან. ამ მაგიდასთან მიმიყვანა კერჟენცევმა. ამხანაგებმა სტალინმა და კაგანოვიჩმა, რომლებმაც მე მნახეს დიდი თეატრის სცენაზე, მიცნეს, მომიწონეს თამაში. სტალინმა სთქვა — „ყოჩაღ“. ვოროშილოვმაც აგრეთვე შემაქო.

არასოდეს დამავიწყდება ეს მშობლიური, გამამხნევებელი სიტყვები. განსაკუთრებით აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში ეს უბრალო, მზრუნველი დამოკიდებულება ჩვენი მსახიობებ-სადმი სტალინისა და მის თანამებრძოლთა მხრით.

სიამაყით და სიხარულით სავსეა ჩემი გული. ძალღონეს არ დავზოგავ შემდგომი წარმატებისათვის. ამას მავალებს მაღალი ჯილდო.

ნადეჟდა ცომაია

ოპერის სოლისტი, ორდენოსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

—საბჭოთა ხელოვნების ახალი მწვერვალებისაკენ!

„აბესალომ და ეთერი“ მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე. სურათზე: სცენა II მოქმედებიდან.

ფოტო ბ. ფიშმანისა (სოიუზფოტო)

ხელოვნების მუშაკები მიესალმებიან ორდენოსნებს

ლენინის ორდენის რუსთაველის სახელობის თეატრი

„არსენას“ მეოთხე და მეხუთე მოქმედებათა შუა, ანტრაქტის დროს საარტისტო ფოიეში გაიმართა ლენინის ორდენის, რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობთა და მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგი.

მიტინგი გახსნა ადგილკომის თავმჯდომარემ ორდენოსანმა მსახიობმა ამხ. გიორგი საღარაძემ. მან პირველი, შესავალი სიტყვა თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგეს, საბჭოთა კავშირის სახალხო მსახიობს, ორდენოსან აკაკი ვასაძეს დაუთმო.

— აღფრთოვანებული ვართ ჩვენი მოძმე თეატრის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დასაჩუქრებისა და იმ მაღალი შეფასების გამო, რომელიც მიიღო ქართულმა ცეკვამ და სიმღერამ. გამომჟღავნდა საუკუნოებით დაჩაგრულ, ხოლო საბჭოთა სინამდვილეში გაფურჩქვნილ მშრომელ ერში დაგროვილი შემოქმედებითი უნარი და ენერგია. საქართველოს მშრომელი ხალხის ხელოვნების მიღწევათა დემონსტრაცია შედეგია ამხ. ბერიას სტალინური მზრუნველობისა, გულისხმიერი დამოკიდებულებისა საბჭოთა ხელოვნების მუშაკებისადმი.

ტრიბუნაზე „არსენას“ კოსტიუმში გამოწყობილი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ორდენოსანი აკაკი ხორავა ადის. იგი გულწრფელად, აღტაცებით მოუთხრობს დამსწრეთ ოპერისა და ბალეტის თეატრისა და აგრეთვე მსახიობი ამხანაგების გამარჯვებას.

— ამ ბედნიერებას ჩვენ ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებით მივაღწიეთ. საქართველო საუკუნეთა მანძილზე არასოდეს არ ყოფილა ასეთი აყვავებული, როგორც ახლა.

ამხ. ხორავას მსახიობი თამარ ბაქრაძე სცვლის.

— ჩვენ ვამაყობთ, ამბობს იგი, რომ ჩვენმა სამშობლომ ისეთი მუსიკა და ვოკალური ხელოვნება მოგვცა, რომელიც მთელი კავშირის ყურადღებას იპყრობს, შესასწავლ საგნად ხდის. ვამაყობთ, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი ორდენოსანთა რიგებში ჩადგა.

— იმ დროს, როდესაც ფაშისტ ბარბაროსებს მიაქვთ სიკვდილი, დალუპვა და განადგურება ესპანელი მშრომელი ხალხის კულტურისათვის, ნათქვამია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრისადმი გაგზავნილ მისასალმებელ დეპეშაში, — ჩვენმა ხელოვნებამ, თავისუფალი საქართველოს მშრომელთა ხელოვნებამ, სტალინური კონსტიტუციით გაბრწყინვებულმა და ლენინურ-სტალინური პოლიტიკის მზით გამთბარმა, მიიღო უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი. საქართველოს ოპერის თეატრის გამარჯვება ეს არა მარტო ქართული ხელოვნების გამარჯვება არის, არამედ მთელი საბჭოთა ხელოვნებისაც.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

15 იანვარს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, „ცხვრის წყაროს“ მეორე აქტის შემდეგ მსახიობებმა თავი მოიყარეს სარეპეტიციო დარბაზში, სადაც გაიმართა სახელდახელო კრება ოპერისა და ბალეტის თბილისის თეატრის და ქართული მუსიკის წამყვან მუშაკთა დაჯილდოვების გამო.

კრება გახსნა თეატრის პარტკომის მდივანმა ამხ. არ. მურაჩაშვილმა. ინფორმაცია ქართული მუსიკალური ხელოვნების მუშაკთა დაჯილდოვების შესახებ გააკეთა მარჯანიშვილის თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა დოდო ანთაძემ.

— ბრწყინვალე წარმატება მოიპოვა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა მოსკოვში, — სთქვა ამხ. ანთაძემ. ქართული ხელოვნების დეკადამ ტრიუმფით ჩაიარა. მთავრობამ ფრიად მაღალი შეფასება მისცა ჩვენს მუსიკალურ ძალებს.

დ. ანთაძის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ რესპ. დამს. არტ. შალვა ღამბაშიძე, კ. კვანტალიანი, სახალხო არტისტი ორდენოსანი ნიკო გოცირიძე, კომპოზიტორი კ. ანდრიაშვილი, დამს. არტ. ორდენოსანი თამარ ჭავჭავაძე.

ყველა ორატორის გამოსვლაში გამოსჭვივოდა ღრმა მადლობა პარტიისადმი, გენიალური სტალინისადმი, რომელიც ესოდენ ყურადღებას აქცევს ხელოვნებას, ასეთს წმინდა მამობრივ მზრუნველობას იჩენს ხელოვნების მუშაკებისადმი.

— ქართულ ხელოვნებას — ამბობს შ. ღამბაშიძე, — მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიეცა განვითარების საშუალება, მხოლოდ კომუნისტური პარტიის შემწეობითა და მზრუნველობით გაშალა მან ფრთები. საოპერო ხელოვნების მუშაკთა დაჯილდოება ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი პარტია და მთავრობა ხელოვნების საკითხებს.

— ბედნიერებაა სტალინურ ეპოქაში ცხოვრობდე, სტალინის დროშის ქვეშ მუშაობდე და ჰქმნიდე — ამბობს ორდენოსანი თამარ ჭავჭავაძე.

საქართველოს სახკინმრეწვი

ოპერისა და ბალეტის თბილისის სახელმწიფო თეატრის ლენინის ორდენით დაჯილდოვების გამო საქართველოს სახკინმრეწვში 15 იანვარს შესდგა სახელდახელო მიტინგი, რომელსაც დაესწრო კინომრეწველობის სამასამდე მუშა-მოსამსახურე. მიტინგი გახსნა ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. სიმონ დოლიძემ.

ოპერისა და ბალეტის თეატრის, მის მუშაკთა, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ გუნდთა და მოსკოვში ქართული დეკადის მონაწილე წამყვან მუშაკთა დაჯილდოვების შესახებ მრავალრიცხოვან მიტინგს ინფორმაცია გაუკეთა ორდენოსანმა რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა.

მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა ამ ცნობას.

— საკავშირო მთავრობის ეს უმაღლესი ჯილდო, რომელიც ქართულმა ოპერამ და მისმა ნიჭიერმა კოლექტივმა მიიღო, — განაცხადა ამხ. მ. ჭიაურელმა, — გვავალებს ხელოვნების ყველა მუშაკს, მათ შორის საქართველოს კინო-მრეწველობის კოლექტივს, რათა მეტი ენერგიით ვიბრძოლოთ სოციალისტური ხელოვნების შემდგომი აყვავებისათვის, ნაციონალური კულტურის ჯერ არნახული განვითარებისათვის.

ამხ. მ. ჭიაურელის ინფორმაციის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია, რეჟ. კოტე მიქაბერიძე, რეჟ. ს. შატროვი და ელექტრომონტიორი მუშა ს. სარქისოვი.

— სახკინმრეწვის კოლექტივი, საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად ამაყობს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გამარჯვებით. ჩვენ პირობას ვაძლევთ პარტიას და ხელისუფლებას, რომ 1937 წელს მივცემთ ქვეყანას მთელ რიგ ახალ კინო-სურათებს, დიდი სტალინური ეპოქის შესაფერ ფილმებს — ასე მთავრდება რეზოლუცია, რომელიც მრავალრიცხოვანმა მიტინგმა მიიღო.

გრიბოედოვის სახ. თეატრი

თბილისის რუსული დრამის—გრიბოედოვის სახელობის თეატრის მუშაკთა კოლექტივში საერთო აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია ქართული მუსიკალური კულტურის საუკეთესო წარმომადგენელთა დაჯილდოების ცნობამ. 15 იანვარს, ნაშუადღევს თეატრში გაიმართა მთელი კოლექტივის საერთო კრება, რომელზედაც სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ირინე ამატუნი, რეჟისორი ავგუსტოვი, აქტიორების წარმომადგენელი რადოლინი, თეატრის დირექტორის მოადგილე ამხ. შენდეროვი, აგაბეკოვი და სხვ.

— ჩვენ ვამაყობთ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გამარჯვებით. ეს გამარჯვება გვაფრთოვანებს და გვახალისებს შემდგომი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

კრებაზე სიტყვით გამოსულმა დამსახურებულმა აქტიორმა ამხ. რადოლინმა მოიგონა ძველი დრო, როდესაც მას მოუხდა ოპერის მაშინდელი თეატრის კოლექტივთან მუშაობა.

— მეფის რეჟიმის დროს, —სთქვა ამხ. რადოლინმა, იყო ცდა ქართული ოპერის დადგმისა, მაგრამ ეს ცდა წააწყდა მეფის ბიუროკრატებისა და დერჟიმორდების სასტიკ წინააღმდეგობას.

საერთო კრების ერთსულოვანი დადგენილებით, თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის თეატრის მუშაკთა კოლექტივს გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშა.

როგორ იქმნებოდა „აბესალომ და ეთერი“

ზაქარია ფალიაშვილის, როგორც კომპოზიტორის, ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი იმ წრემ, რომელშიაც ის იზრდებოდა. ჩვენი ოჯახი მუსიკალური ოჯახი იყო. მამა პეტრე უბრალო მსახურად იყო ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში, მღეროდა და ორგანზე უკრავდა. პეტრეს 18 შვილი ჰყავდა—10 ვაჟი და 8 ქალი. უფროსი ჩვენს შორის ვანო და მისი მომდევნო ზაქარიაც აგრეთვე ორგანზე უკრავდნენ. ვანო იმდენად დახელოვნდა, რომ მალე ის თბილისის კათოლიკურ ეკლესიაში მიიწვიეს.

ამას მოჰყვა მთელი ოჯახის გადმოსვლა თბილისში. ეს იყო 1888 წელს. ამ დროისათვის და-ძმათაგან ცოცხალი იყო მხოლოდ რვა— ხუთი ვაჟი და სამი ქალი.

თბილისში გადმოსვლის შემდეგ ვანომ მალე თავი მიანება ეკლესიას, ორგანი ზაქარიას გადასცა. თითონ კი ოპერეტის თეატრში შევიდა დირიჟორად. ზაქარია ამ დროს ორგანისტია და თან სამუსიკო სასწავლებელში სწავლობს. პარალელურად აყალიბებს მომღერალთა რუსულ გუნდს, რომლითაც კონცერტებს მართავს მუშათა უბნებში.

1900 წელს, როდესაც ზაქარია მოსკოვს გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად, გუნდი მან მესამე ძმას პოლიკარპეს გადააბარა. პოლიკარპეც ორგანზე უკრავდა. ორგანისტობა არ აგვცდა არცერთ ძმას.

1903 წელს ზაქარია ბრუნდება საქართველოში და იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. თან აგროვებს და ამუშავებს ხალხურ სიმღერებს.

ოპერის დაწერის იდეა მას ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარმა პეტრე მირიანაშვილმა ჩააგონა. ზაქარია დიდხანს უარზე იდგა. რა დროს ოპერის წერაა, ჯერ მასალა უნდა შევაგროვოო. ბოლოს, როცა პ. მირიანაშვილმა „აბესალომ და ეთერის“ გამზადებული ლიბრეტო მოუტანა, ზაქარია დასთანხმდა.

სანამ ოპერის წერას შეუდგებოდა, ზაქარიამ შემოიარა მთელი საქართველო, სადაც დიდძალი ხალხური სიმღერები ჩაიწერა. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ის იწყებს „აბესალომ და ეთერზე“ მუშაობას. ეს იყო 1907-8 წლებში.

ექვსი წელი იმუშავა ზაქარიამ „აბესალომზე“. 1914 წელს გარდაიცვალა ზაქარიას ერთადერთი შვილი ირაკლი, 11 წლისა. ამან საშინლად იმოქმედა ზაქარიაზე. მან სრულიად შესწყვიტა ოპერაზე მუშაობა.

რამდენიმე წლის შემდეგ ის კვლავ უბრუნდება „აბესალომს“. ახლა მას მისი ერთად ერთი ვაჟის ხსოვნა ასულდგმულებს. ის მუდამ თვალწინ უდგას, მას უძღვნის თავის ნაწარმოებს. აბესალომის პოეტური სახის შექმნაში ირაკლი ფალიაშვილმა დიდი როლი ითამაშა. დაცულია „აბესალომ და ეთერის“ კლავირის პირველი ეგზემპლარი, რომელზედაც კომპოზიტორის ხელით წაწერილია, რომ ოპერას შვილის ხსოვნას უძღვნის. ზაქარია „აბესალომზე“ მუშაობის დროს პიანინოსთან იშვიათად მივიდოდა. სწერდა მაგიდაზე, პირდაპირ ნოტებზე გადაჰქონდა მელოდიები. როდესაც დაამთავრებდა რომელიმე ნაწყვეტს, მხოლოდ შემდეგ მიმართავდა შესამოწმებლად პიანინოს.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ოპერების „აბესალომ და ეთერის“ და „დაისის“ ავტორი ზ. ფალიაშვილი

ზაქარია დიდი ენერგიის პატრონი იყო, მას იშვიათი შრომისმოყვარეობა ახასიათებდა. მახსოვს ასეთი მომენტები: ზაქარია ამუშავებდა მოგზაურობის დროს ჩაწერილ ხალხურ სიმღერებს. ის უკრავდა მათ ფონოგრაფზე, უკრავდა დიდხანს, ზოგჯერ ასჯერაც კი, სანამ არ გადაამუშავებდა ისე, როგორც სურდა. ამ მუშაობის დროს შინაურები სახლიდან გავრბოდით, რადგან ფონოგრაფის ყვირილი მაინცდამაინც ვერაფერი სასიამოვნო იყო.

ზაქარია სწერდა „აბესალომს“, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, რომ ის დაიდგმებოდა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. მეფის თვითმპყრობელობის „საზაზინო“ თეატრს მაშინ ქართული ოპერისათვის „არ ეცალა“. „აბესალომ და ეთერი“ ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, რომ ნაწყვეტები დაიდგა მაშინდელი ქართული კლუბის სცენაზე. აბესალომის როლში გამოვიდა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მომღერალი ვანო სარაჯიშვილი. სპექტაკლში მონაწილეობდნენ მოხალისე მომღერლები. ორკესტრს თვითონ ზაქარია ხელმძღვანელობდა. „აბესალომ და ეთერი“ ზაქარიამ დაამთავრა 1917 წელს.

ექ. ნ. ფალიაშვილი

უსაზღვრო ბედნიერება

კრემლში მიღების დროს ჩემთან მოვიდა ამხანაგი ორჯონიკიძე და შემეკითხა, როგორ ვცხოვრობ. მას აინტერესებდა ჩემი მუშაობა. მე ბედნიერად ვიგრძენი თავი.

საღამომ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა.

დიდი მადლობა პარტიას და ხელისუფლებას მაღალი საჩუქრისათვის!

მელიტონ ბალანჩივაძე
რესპ. სახ. არტ., ორდენოსანი

ევ. მ. ბრაუდო

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

„დაისი“ *

უეჭველია, დიადი სამშობლოს წარმატებით გამოწვეული ღრმა ბედნიერებისა და სიხარულის გრძნობა რომელსაც საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქე განიცდის, განისაზღვრება ჩვენი სამშობლოს ხალხური შემოქმედების საგანძურის გაცნობითაც. საბჭოთა მუსიკალური პატრიოტიზმი ემყარება მხატვრულ შთაბეჭდილებათა ისეთ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას, რომლებიც მსოფლიოში უცნობი იყო ჩვენს დრომდე. არ არსებობს არცერთი მუსიკალური ცენტრი, სადაც ეს დღემდე გაუგონარი, უნახავი განძები ასეთი სიყვარულით გამოეფინოთ, ისე სერიოზულად და გულისხმიერად მოემზადებინოთ ისინი როგორც მოსკოვში. უკრაინულმა და კაზახურმა დეკადებმა, რომლებიც ამას წინათ ჩატარდა სსრ კავშირის დიდ თეატრში, ისეთი ნათელი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ იგი ყველა ჩვენთაგანში კვლავ სცოცხლობს მთელი უშუალო განცდით. ქართული დეკადა — ეს არის შემდგომი ღირსშესანიშნავი ეტაპი მომქმედი სტალინური ნაციონალური პოლიტიკისა. ხელოვნების დიდ ზეიმთა განუწყვეტელ ჯაჭვად, ჩვენი მუსიკალური და თეატრალური კულტურის ზრდის ერთი პოემის სტროფებად წარმოგვიდგენია ჩვენ უკვე განხორციელებული და მომავლისათვის მომზადებული დეკადები სსრ კავშირის მოძმე ხალხთა ხელოვნებისა.

ქართული დეკადის პირველმა დადგმამ, ზაქარია ფალიაშვილის (1872-1933) ოპერამ „დაისმა“ მოგვცა უცილობელი საბუთი, რომ დეკადა მეტად მაღალი მხატვრული დონით ჩაივლის. „დაისი“ ქართული საოპერო მუსიკის კლასიკური ნაწარმოებია. ამ ოპერაში შედუღებულია საუკეთესო მხარეები მუსიკალურ - დრამატიული ხელოვნებისა ჩვენი საბჭოთა გაგებით. მთელი ოპერა გამსჭვალულია ხალხური მელოდიკით. ამ ოპერაში გვაქვს მეტად მაღალი რანგის მუსიკოსის, თავისი ქვეყნის ფოლკლორის, სიმღერებისა და ცეკვის დაუღალავად შემსწავლელი მხატვრის მეტად მაღალი ოსტატობა. და, ამასთან ერთად, ამ ღრმა — გრძნობიერი ოპერის — მუსიკალური პოემის (სასურველად მიგაჩნია ასე ეწოდებოდეს „დაისს“), ასეთი გულწრფელი, ასე ამაღელვებელი პოემის ყოველ სტრიქონში უდიდესი კულტურა იგრძნობა, კულტურა, დამყარებული უწინარეს ყოვლისა დიადი რუსული მუსიკალური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშთა ღრმად ათვისებაზე.

ზაქარია ფალიაშვილს ხშირად ქართველ გლინკას უწოდებენ. ეს უაღრესად საპატიო სახელი სწორად, მაგრამ არა სავსებით სრულად ახასიათებს მისი უდიდესი შემოქმედებითი ნიჭის ძირითად მხარეებს. გლინკასთან ფალიაშვილს ანათესავებს როგორც თავისი ოპერის საოცარი მელოდიურობა, ხალხური სიმღერის მხურვალე სიყვარული, მისი ძირითადი თვისებების დაცვა, მთელი მუსიკალური ბგერადობის სიმსუბუქე, ისე საერთო რომანტიკული ტონიც, რომელიც მთელ ნაწარმოებს ახასიათებს. „დაისი“ რომანტიკული ოპერაა. იგი რომანტიკულია არა მარტო თავისი სიუჟეტით (მაროს და მალხაზის ტრაგიკული სიყვარულის ისტორია), იგი რომანტიკულია იმითაც, რომ შემოქმედი აღტაცებულია ქართველი ხალხის ხასიათის საუკეთესო მხარეებით — კეთილშობილებით, პირდაპირობით, სიმამაცით, სამშობლოს სიყვარულით.

მაგრამ ამასთან ერთად „დაისში“ არის დიდი ეპიკური თხრობის ელემენტებიც. პირველი და მესამე აქტის მასობრივი სცენები დაუვიწყარია, როგორც მკაფიო სურათები ქართველი ხალხის ისტორიიდან. იმისათვის, რომ გაიგო და სავსებით შეაფასო ამ ოპერის მშვენიერება, უნდა გაიხსენო ქართული სიმღერის დამახასიათებელი ნიშნები, განსაკუთრებით მისი ცენტრალური ჯგუფისა, რომელმაც ულრმესი გავლენა მოახდინა ზაქარია ფალიაშვილის მუსიკაზე. კავკასიისა და ამიერ-კავკასიის ხალხთა სიმღერებში ქართულ სიმღერებს პირველი ადგილთაგანი უჭირავთ. ამ სიმღერებს ძალიან ძველი ფესვები აქვთ. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში და მეორე ათასწლეულის დასაწყისში გადმცემულნი. ისინი მრავალსაუკუნოვან მუსიკალურ კულტურას მოწმობენ ქართული სიმღერის ერთ-ერთი თავისებურება — მისი საგუნდო სამხმოვანობა (მდიდრულად მოკაზმული საშუალო ხმით) მჭიდროდ დაკავშირებულია დასავლეთში მრავალხმოვანობის ადრინდელ აყვავებასთან.

რიტმის არაჩვეულებრივი მოქნილობა, სხვადასხვა ზომათა სწრაფი ცვლა, მუსიკის უმჭიდროესი კავშირი ქართული ენის კეთილხმოვანებასთან — ყოველივე ეს განსაზღვრავს ქართული მუსიკის სტილს და ამით ფალიაშვილის საოპერო წერის ხასიათსაც. რაოდენი პლასტიკური სილამაზეა მის მელოდიებში! რაოდენი ცოცხალი იუმორი, რიტმული სიცოცხლე, ცეცხლოვანი მოძრაობაა მის გუნდებსა და ცეკვებში! პირველხარისხოვანი კომპოზიტორული ტექნიკით აღჭურვილმა „დაისის“ ავტორმა მოახერხა ისე გამოეყენებინა ეს ტექნიკა, რომ არაფრით არ დაემახინჯებინა ხალხური ხასიათი, ქართული ხალხური მუსიკალური სტილის კოლექტიური გამოცდილება. რა ცოცხლად და დამარწმუნებლად ბგერს მალხაზის პირველი არია (რომელიც უაკომპანიმენტოდ სრულდება), ხალხური „ურმულის“ კილოზე დაწერილი, ან მაროს მოთქმა (მესამე მოქმედებაში), ანდა პირველი ორი აქტის მხიარული გუნდები, რომლებიც ისე ბგერენ, როგორც თვით ხალხის ყოფაცხოვრების გულიდან ამოღებული მუსიკა. მაგრამ აღვიარებთ რა, რომ „დაისში“ ვოკალური საწყისი უპირატესობს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ოპერის ჩინებული საორკესტრო ფაქტურა. ისეთი ფურცლები, როგორიცაა ოპერის შესანიშნავი შესავალი, რომელიც მწყემსის სალამურის (ფალიაშვილის ოპერაში ინგლისური სალამურის) კილოს ემყარება, როგორიცაა ცეცხლოვანი ქართლური ლეკური ან მესამე აქტის გრანდიოზული ფინალი, რომელიც ელეგიური მუსიკიდან საუცხოო გმირულ დასასრულზე გადადის, — ყოველივე ეს მსოფლიო საოპერო ხელოვნების საუკეთესო ფურცლებია. ფალიაშვილის საორკესტრო საღებავები ცოცხალი, რბილი, გრძნობათა გამომხატველია და პათეტიკურ ადგილებში ბგერადობის უდიდეს დინამიკას აღწევენ.

როგორც სცენიური წარმოდგენა „დაისი“ ძალიან მდიდარ და მადლიერ მასალას იძლევა შემსრულებელთათვის. მოსკოვში „დაისის“ პირველმა დადგმამ ცხადჰყო, რომ თბილისის თეატრის შემადგენლობა სავსებით შეჰგუებია და ღრმად ჩასწვდომია ამ ოპერის მხატვრულ შინაარსს. მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელმა საქართველოს სს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დირიჟორმა ე. მიქელაძემ, საუცხოოდ შეხმატკბილებული კოლექტივის სათავეში, გვიჩვენა პარტიტურის ფრიად გულწრფელი და ღრმა გაგების ნიმუში. დიდი ქების ღირსია ორკესტრის რბილი ბგერადობა, რომელიც სავსებით უერთდება ოპერის ვოკალურ ხაზებს და — რაც მეტად მნიშვნელოვანია — ცალკეული ჯგუფების უაღრესად სუფთა ინტონაციის ემყარება.

მომქმედ პირთაგან ყველაზე მკაფიო სურათი გვიჩვენა პ. ბ. ამირანაშვილმა (კიაზო). ასეთი ლამაზი, მოქნილი და ყოველმხრივ თანაბარი ბარიტონი იშვიათად გვხვდება საოპერო პრაქტიკაში. ამასთან ამირანაშვილი შესანიშნავი არტისტიცაა. მის გვერდით უნდა დავაყენოთ დამსახურებული არტისტი სოხაძე, მან მოგვცა ძალიან გულთბილად და ლირიკულად მოხაზული მაროს სახე, რომელიც ამავე დროს მოკლებული არ არის ძლიერ დრამატიულ სწრაფვასაც. მის მოთქმას მესამე მოქმედებაში აუდიტორია სულგანაბული ისმენდა. დამსახურებული არტისტი ნ. ქუმსიაშვილი (მალხაზი — ტენორი) აგრეთვე გამოირჩევა ხმის ლამაზი მასალით, მაგრამ სცენიურად იგი უფრო მკრთალია თავის ამხანაგებზე. მისი საუცხოო არია პირველი აქტის დაბოლოვებისას, მომავალი დაღუპვის წინაგრძნობით გამსჭვალული, ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს. მოხუცი ცახგალას როლი, რომელიც დამახასიათებლად გადმოგვცა ხამაშურიძემ, და ნანოს როლი ცომაიას შესრულებით, ჩინებულად ავსებდნენ რეალისტური ხაზებით ოპერის სურათს. მისწრაფება რეალიზმისადმი, სასცენო სახის არაჩვეულებრივი მკაფიობისადმი „დაისის“ დადგმის ერთერთი საუკეთესო მხარეა. შესრულების ვოკალური სტილი სრულ შესაძლებლობას იძლევა მუსიკალურ ინტონაციაზე დაყრდნობითაც გამოიყოს სახის ტიპიური მხარეები, როგორც ეს მოფიქრებულია კომპოზიტორის მიერ.

იმ მხურვალე ოვაციებში, რომლებითაც მოსკოველმა მაყურებლებმა თბილისის საოპერო კოლექტივი დააჯილდოვა, ყველაზე მეტი ტაში ხვდა ქორეოგრაფიულ ნაწილს. შესანიშნავი რიტმულობის, მოქნილობის, პლასტიკური სილამაზისა და ადგილ-ადგილ იუმორისტული გამომსახველობის მხრივ — ის, რაც გუშინ „დაისის“ პრემიერაზე ქართულმა საოპერო თეატრმა გვიჩვენა, მართლაც მოძრაობის ხელოვნების მწვერვალს წარმოადგენს. ასე ცეკვა შეუძლიათ მხოლოდ ბედნიერი ქვეყნის ადამიანებს, თვით მასის მიერ წამოყენებულთ და თავის მხატვრულ შემოქმედებაში მასთან ღრმად დაკავშირებულთ.

საუცხოო დეკორაციები, რომლებიც გადმოგვცემენ საქართველოს მთების სილამაზეს, ულრუბლო ლაჟვარდ ცას და არქიტექტურის შესანიშნავ ძეგლებს, თვალს ახარებდნენ არანაკლებად, ვიდრე ძველი საქართველოს სტილთან შეფარდებული მუქ-ლურჯ — ვერცხლოვანი გამის მშვენიერი კოსტუმები. სახალხო არტისტმა წუწუნავამ ამ სპექტაკლში თავისი მეტად მაღალი ოსტატობა გვიჩვენა — ჯგუფების უაღრესად მოფიქრებულად განლაგება მთელი მოქმედების ბუნებრივობისა და სისადავის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, მიუხედავად შემსრულებელთა სხვადასხვა ჯგუფის (სოლისტები, გუნდი, ბალეტი) უდიდესი რაოდენობრივი შემადგენლობისა. მხატვრული დისციპლინა, რომელიც ექვემდებარება საერთო ამოცანას, ყოველივე იმ საუკეთესოს ჩვენებას, რაც ქართულმა კლასიკურმა ხელოვნებამ მოგვცა, ასულდგმულებდა დადგმის ყველა მონაწილეს, ვისაც წილად ხვდა პატივი — ეჩვენებინა თავისი ხელოვნება საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო ადამიანებისათვის. როდესაც მისწყდა ოპერის ბოლო ეპიზოდის უკანასკნელი ფანფარების ხმა, დარბაზში და სცენაზე გაისმა აღტაცებული მისალმებანი იმათდამი, ვინც ამხანაგ სტალინის მეთაურობით შეჰქმნა მშვენიერი საქართველოს — საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ამ მარგალიტის — უმაგალითო კულტურული, მხატვრული აყვავების პირობები.

მოსკოვი.

დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდის გამოსვლა სსრ კავშირის აკადემიურ დიდ თეატრში 8 იანვარს ქ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით. („სოიუზფოტო“)

---

*) დაწერილია სპეციალურად „კომუნისტისათვის“.

სამოქალაქო ომი ესპანეთში

რესპუბლიკელთა წარმატებანი მადრიდის ფრონტზე

პარიზი, 14 იანვარი (საქდესი). დღეს ნაშუადღევს გამოქვეყნდა მადრიდის დაცვის კომიტეტის ცნობა, რომელშიაც ნათქვამია:

„ნისლი და წვიმა ხელს უშლიდა რამდენიმე სერიოზული ოპერაციების წარმოებას მადრიდის ფრონტზე. საუნივერსიტეტო უბნის რაიონში ჩვენ მოულოდნელად თავს დავესხით მეამბოხეთა დამხმარე კოლონას და გავაქციეთ. მეამბოხეებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს 11 მოკლული. ხელთ ვიგდეთ 5 ტყვე და 2 ტყვიამფრქვევი. კონტრიერიშის დროს, რის შედეგადაც რესპუბლიკის ჯარებმა კვლავ დაიკავეს ვილანუევა დელ პარდილიო, რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს 200 ტყვე და 30 ტყვიამფრქვევი.

ტერუელის ფრონტზე მეამბოხენი განვდევნეთ მნიშვნელოვანი პოზიციებიდან.

ქალაქ მალაგას დღეს დილით გააფთრებით უშენდნენ ყუმბარებს მაღლიდან და ზღვიდან. ბომბარდირების შედეგები ჯერ კიდევ გამოურკვეველია.

მეამბოხეთა ძალების გადაყვანა ესტეპონის ფრონტზე

ლონდონი, 13 იანვარი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, მეამბოხეებმა დღეს მთელი თავისი ჯარები ლა-ლინეასა და სან როკედან (გიბრალტარის ჩრდილოეთით) გადაიყვანეს ესტეპონის ფრონტზე, სადაც, როგორც ჰფიქრობენ, ისინი შეხვდებიან ძლიერ წინააღმდეგობას მალაგის მიმართულებით შეტევისას. დამხმარე ძალების გადასაყვანად მეამბოხეებმა მოახდინეს ავტობუსების, სატვირთო მანქანებისა და ტანკების მობილიზაცია. ერთ ცნობაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის ჯარებმა ესტეპონიდან დაიწყეს ძლიერი კონტრიერიში და წინ მიიწევენ მეამბოხეთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე.

გუშინ, ღამით, სეუტიდან ალჟესირასში მიიტანეს 300-ზე მეტი საველე ზარბაზანი. „არსებული ცნობებით,— აღნიშნავს რეიტერის სააგენტო, — ეს ზარბაზნები უცხოური წარმოებისაა“.

მეამბოხეთა ჯარების ინსპექტირებისათვის დღეს ალჟესირასს ჩავიდა გენერალი კეიპო დე ლიანო.

ესპანეთში მოხალისეთა გაგზავნის აკრძალვის პროექტი

პარიზი, 14 იანვარი (საქდესი). დღეს ერიოს თავმჯდომარეობით შესდგა დეპუტატთა პალატის სხდომა. პრემიერმა ბლიუმმა აღნიშნა: მთავრობას შემოაქვს კანონპროექტი, რომელიც რწმუნებებს აძლევს მთავრობას მიიღოს ყოველგვარი ზომა ესპანეთში მოხალისეთა გაგზავნის შესაწყვეტადო. პალატამ უკამათოდ მოიწონა წარმოდგენილი დღისწესრიგი, რის შემდეგ სხდომა დაიხურა.

შემდეგი სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნება მოხალისეთა შეგროვებისა და ესპანეთში მათი გაგზავნის აკრძალვის კანონპროექტი, შესდგება ხვალ.

პარიზი, 14 იანვარი (საქდესი). ჰავასის სააგენტოს გადმოცემით, მთავრობის სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა დელბოსმა დამსწრეთ გააცნო მოხალისეთა შეგროვებისა და ესპანეთში მათი გაგზავნის აკრძალვის პროექტი. პროექტით, რომელიც დღეს იქნება შეტანილი პარლამენტში, მთავრობა მოითხოვს რწმუნებებს ნახევარი წლის ვადით, რათა მოაგვაროს ეს საკითხი. დელბოსმა აღნიშნა: ესპანეთის მაროკოს საკითხი მოგვარებულია იმით, რომ გამოქვეყნდა ცნობა პონსესთან ჰიტლერის საუბრის შესახებ.

პარიზი, 14 იანვარი (საქდესი). სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის საპარლამენტო კომისიამ უარჰყო რეაქციონერ დეპუტატ დებონის წინადადება, რომელიც გულისხმობს ესპანეთისათვის ფრანგ მოხალისეთა შეგროვების აკრძალვას. კომისიამ თავისი გადაწყვეტილება, სხვათა შორის იმით დაასაბუთა, რომ ამ საკითხზე სწარმოებს საერთაშორისო მოლაპარაკება, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს საფრანგეთის მთავრობა.

მალაგის ბომბარდირების დაწვრილებითი ცნობები

ლონდონი, 13 იანვარი (საქდესი). როგორც ინგლისური გაზეთი გიბრალტარიდან იუწყება, მეამბოხეთა მიერ მალაგის ბომბარდირების დროს დაზიანდა ინგლისის საკონსულოს შენობა და დაინგრა საავადმყოფოს შენობა. ყველა ავადმყოფი დაიღუპა. მალაგისათვის მაღლიდან და ზღვიდან ყუმბარების დაშენასთან ერთად მეამბოხენი ცდილობდნენ დაეწყოთ შეტევა ესტეპონის (მალაგიდან სამხრეთ-დასავლეთით) ფრონტზე, მაგრამ გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ, რის შემდეგ თავიანთ სარდლობას მიმართეს თხოვნით მაშველი ჯარების გაგზავნის შესახებ.

გუშინ ლა-ლინიაში (გიბრალტარის მახლობლად) მეამბოხეთა ოფიცრებმა ჩამოიარეს ყველა სახლი და ეძებდნენ ადამიანებს, რომელთა გაგზავნაც შეიძლებოდა ფრონტზე. ამ წესით ესტეპონისაკენ გაიგზავნა 1.500 კაცი. როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ესტეპონის ფრონტზე მეამბოხეთა ოპერაციებს ხელმძღვანელობენ იტალიელები. მეამბოხეებს აქვთ ტანკები და ცეცხლმფრქვევები.

მალაგისათვის ყუმბარის დაშენის შემდეგ მეამბოხეთა კრეისერები „ალმირანტე სერვერა“ და „კანარიასი“ გამოედევნენ მთავრობის გემს „არალარიენდის“, რომელიც სანტანდერიდან მალაგისაკენ მიდიოდა სასურსათო ტვირთით. თავის გადარჩენის მიზნით, ეს უკანასკნელი თვითონ გაირიყა ტორემოლინოსში (მალაგიდან სამხრეთ-დასავლეთით).

გერმანიის დიპლომატიის ძირგამომთხრელი მუშაობა შორეულ-აღმოსავლეთში

ტალინი, 13 იანვარი (საქდესი). ჰიტლერულმა გაზეთმა „რევალშე ცაიტუნგმა“, რომელიც ესტონეთში გამოდის გერმანულ ენაზე, წამოაყრანტალა, თუ რა მეთოდებით არღვევს მშვიდობიანობას ბერლინის დიპლომატია შორეულ-აღმოსავლეთში. ტოკიოდან მიღებულ კორესპონდენციაში გაზეთი იუწყება, რომ იაპონია-გერმანიის შეთანხმების საჩქაროდ ხელმოწერის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ „იაპონია ემზადებოდა დაედო საბჭოთა კავშირთან სამი შეთანხმება (თევზჭერის უფლებაზე, ნავთის სარეწაოების კონცესიასა და საზღვრების საკითხების მოსაწესრიგებლად საარბიტრაჟო კომისიის შექმნაზე), რომელთა შედეგადაც, ისინი რომ დადებული ყოფილიყო, უეჭველად მოხდებოდა საბოლოო დაახლოვება იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის“. სტატია გულახდილად ამბობს, თუ როგორ აამოქმედეს მთელი ფაშისტური აგენტურა ამ შეთანხმებათა ხელმოწერის ჩასაშლელად, რის გამო დაჩქარებულ იქნა იაპონია-გერმანიის შეთანხმებას ხელმოწერა. გაზეთი არ მალავს თავის კმაყოფილებას, რომ ამ შეთანხმებას შედეგად მოჰყვა იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუარესება.

◇

გერინგი რომში

რომი, 14 იანვარი (საქდესი). ჩამოვიდა გერმანიის ავიაციის მინისტრი გერინგი. იტალიის ყველა გაზეთი გამოვიდა სტატიებით, რომლებიც გერინგის სახით მიესალმებიან „იტალიის ძველ მეგობარს“. გერინგს თან ახლავან გერმანიის მთელი რიგი პასუხისმგებელი მოხელეები. უცხოეთის ადგილობრივი წრეების აზრით, გერინგის მოგზაურობა ნაკარნახევია გერმანიის მისწრაფებით უზრუნველჰყოს, რათა იტალიის მთავრობა ინგლის-იტალიის შეთანხმების დადების შემდეგ არ გადაიხაროს იმ პოლიტიკური პოზიციებიდან, რომლებიც დასახული იქნა ბერლინში იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიანოსთან მოლაპარაკების შედეგად.

ბეჭდვითი სიტყვის სამინისტროში უცხოელ ჟურნალისტებს განუცხადეს: იტალიის პასუხი ინგლისის უკანასკნელ წარდგინებაზე ესპანეთში მოხალისეთა გაგზავნის აკრძალვის საკითხის შესახებ — გერმანიასთან იქნება შეთანხმებული.

◇

ლორდ ლისტოუელის წერილი

ლონდონი, 14 იანვარი (საქდესი). ინგლისში შესდგა სსრ კავშირთან მშვიდობიანობისა და მეგობრობის ყრილობა. ყრილობის თავმჯდომარე ლორდი ლისტოუელი წერილში, რომელიც გამოქვეყნებულია პრესაში, აღნიშნავს, რომ სსრ კავშირთან მშვიდობიანობისა და მეგობრობის მეორე ნაციონალური ყრილობა შესდგება ლონდონში 13 და 14 მარტს. ყრილობაზე გამოვლენ ჰერცოგინია ეტოლი, ნორმან ენჯელი და პარლამენტის რამდენიმე ლეიბორისტი. ლიბერალი და კონსერვატორი წევრი. ლისტოუელის სიტყვით, პირველ ყრილობას შარშან დაესწრო 700 დელეგატი, ერთნახევარი მილიონი კაცის წარმომადგენელი. მას შემდეგ, აღნიშნავს ლისტოუელი, საერთაშორისო მდგომარეობა საგრძნობლად გართულდა და ამჟამად აშკარაა, რომ მშვიდობიანობის შენარჩუნება შეიძლება მხოლოდ კოლექტიური უშიშრობის გზით.“ საბჭოთა კავშირის მოღვაწეობა მშვიდობიანობის სასარგებლოდ, —განაცხადა შემდეგ ლისტოუელმა, — ჯეროვანად შეფასებულია მთელ მსოფლიოში. ინგლისისა და სსრ კავშირის ხალხთა თანამშრომლობა ახლა უფრო საჭირო ხდება, როგორც საშუალება მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის“.

◇

კომუნისტთა დაპატიმრება ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 13 იანვარი (საქდესი). გაზეთი „პოსლედნი ლისტის“ გადმოცემით, ამასწინათ კვლავ გაჩხრიკეს და დააპატიმრეს კომუნისტები, რომლებზედაც ეჭვი აქვთ შეტანილი, რომ ისინი ვითომ „აგროვებდნენ“ მოხალისეებს ესპანეთის რესპუბლიკური არმიისათვის.

რესპუბლიკელთა ჯარების შეტევა მადრიდის ფრონტზე

ლონდონი, 14 იანვარი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მთავრობის ჯარების კონტრშეტევა, რომელიც 13 იანვარს დილით დაიწყო, მთელ ღამეს გრძელდებოდა. დღევანდლამდე მიღწეული შედეგები მთავრობის ჯარებისათვის მეტად ხელსაყრელია: მეამბოხეებს უკან დაახევინეს და ხელთ იგდეს 4 ტანკი. ბრძოლა დაიწყო ლას როსას და ელ პლანტიოს ახლოს, უფრო გვიან კი—მონკლოას რაიონსა და საუნივერსიტეტო უბანში. მას შემდეგ, რაც რესპუბლიკელებმა კლინიკური ჰოსპიტალი ააფეთქეს მეამბოხენი გადმოვიდნენ კონტრიერიშზე, მაგრამ იგი მოგერიებულ იქნა. მთავრობის ჯარების შეტევის გამო 14 იანვარს გარიჟრაჟზე გერმანიის ჯარები ლას როსას რაიონში, აგრეთვე მაროკოელნი და „უცხოელთა ლეგიონის“ ნაწილები მონკლოასა და საუნივერსიტეტო უბანში იძულებული გახდნენ უკან დახეულიყვნენ. კორესპონდენტი დასძენს, რომ კლინიკური ჰოსპიტალის შენობა საბოლოოდ არაა დანგრეული აფეთქებით, მაგრამ იქ მყოფ მეამბოხეთ ახლა დამხმარე ძალები შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ ვიწრო დერეფნით.

კომპანისის მომავალი მოლაპარაკება ლარგო კაბალიეროსთან

ბარსელონა, 14 იანვარი (საქდესი). კატალონიის მეთაური კომპანისი გაემგზავრა ბენიკარლოს (ტორტოსიდან 53 კილომეტრის მანძილზე, ვალენსიისაკენ), რათა მოელაპარაკოს ესპანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კაბალიეროს. პოლიტიკურ წრეებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ მოლაპარაკების შედეგებს, ვინაიდან ეს მოლაპარაკება შეეხება საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს.

კომპანისის განცხადება პრესის წარმომადგენლებს

ბარსელონა, 14 იანვარი (საქდესი). როგორც ფაბრის სააგენტო იუწყება, კატალონიის მეთაურმა კომპანისმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ გუშინ ბენიკარლოში ის სხვადასხვა პოლიტიკურ და საფინანსო საკითხებზე ესაუბრა ესპანეთის მთავრობის მეთაურს ლარგო კაბალიეროს. კომპანისის სიტყვით, საუბრის შედეგად შეიქმნება შერეული კომისია არსებულ რთულ საკითხთა მოსაგვარებლად. კომპანისმა ხაზი გაუსვა, რომ ამ გადამწყვეტ მომენტში უფრო მეტი ერთიანობა არის საჭირო.

გემ „არაგონის“ ეკიპაჟი გადასხეს მალაგაში

ლონდონი, 13 იანვარი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ეკიპაჟი ესპანეთის გემ „არაგონისა“, რომელიც ამ მცირე ხნის წინათ ხელთ იგდო გერმანიის სამხედრო გემმა, გადასხეს მალაგაში. გემი ამჟამად კადიქსშია.

ოჯახის ტრაგედია

ბერლინი, 13 იანვარი (საქდესი). გუშინ მანჰაიმში მოხდა ფაშისტური გერმანიისათვის დამახასიათებელი საოჯახო ტრაგედია. ვინმე ვებერებმა მოჰკლეს თავიანთი ოთხი ბავშვი, რომელთაგან უფროსი 8 წლისა იყო, უმცროსი 11 თვისა. შემდეგ თვითონაც თავი მოიკლეს.

ფაშისტური გაზეთები სწერენ ბავშვების მოკვლისა და მშობლების თვითმკვლელობის მიზეზი ოჯახის მეთაურის „პირადი გარემოებანი“ გახდაო.

◇

იაპონელი მილიტარისტები ამზადებენ ახალ შეტევას სუიუანზე

შანხაი, 13 იანვარი (საქდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტოს კორესპონდენტი გუიხუადან (სუიუანის პროვინცია) იუწყება, რომ ჩაპსურში (შიდამონღოლეთი) შესდგა იაპონიის სამხედრო პირთა თათბირი. თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თებერვლის შუა რიცხვებში დაიწყონ ახალი შეტევა სუიუანის პროვინციის წინააღმდეგ. ამ მიზნით ჩახარისა და ჟეხეს პროვინციების ჩრდილო-ნაწილიდან, აგრეთვე მანჯურიიდან გადაიყვანენ მაშველ ჯარებს.

◇

საბჭოთა ავტომანქანების მიყიდვა ირანის სააქციო საზოგადოებისათვის

თეირანი, 13 იანვარი (საქდესი). საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობამ ცენტრალურ სააქციო საზოგადოებას — ირანის უდიდეს სავაჭრო ორგანიზაციას — მიჰყიდა 250 სატვირთო ავტომანქანა „ზისი“. ეს გარიგება დადებულ იქნა მას შემდეგ, რაც წარმატებით დამთავრდა საბჭოთა იმ ავტომანქანების გამოცდა, რომლებიც საზოგადოებამ წინათ შეიძინა. საბჭოთა მანქანების დიდი პარტიის შესყიდვასთან ერთად ცენტრალური სააქციო საზოგადოება აწყობს ამ მანქანების სათანადო მომსახურეობას, რისთვისაც ჰქმნის სპეციალურ სარემონტო სახელოსნოებს.



საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის ახალი გამოფენა. **სურათზე**: „თბილისი ნარიყალის მთიდან“. ორდენოსანი მხატვრის ამხ. მოსე თოიძისა. ფოტო რეპროდუქცია ცუდკოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ჩვენი გაზეთებიდან

აგრონომის საოლქო სახლი

დასავლეთის ოლქის სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა მიიღეს შესანიშნავი საახალწლო საჩუქარი — აგრონომის საოლქო სახლი, რომელიც გაიხსნა სოფელ ოვინოვშჩინაში (საფონოვის რაიონი). ყოველთვე 120-მდე აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ექიმი-ვეტერინარი და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები აქ კვალიფიკაციას იმაღლებენ და ამავე დროს დაისვენებენ.

აგრონომის სახლში მოწყობილია მემცენარეობისა და აგროქიმიის, სავეტერინარო და მეცხოველეობის კაბინეტები. არის აგრეთვე დასასვენებელი ოთახები, გასართობი დარბაზი, საერთო საცხოვრებელი და სხვ.

30 დეკემბერს მოხდა აგრონომის საოლქო სახლის საზეიმო გახსნა.

„სოციალისტიჩესკოე ზემლედელიე“.

○

იალბუზის მწვერვალზე ასვლა

4 იანვარს ნალჩიკში ჩავიდა იალბუზის აღმოსავლეთის მწვერვალზე ასვლის 5 მონაწილე.

2 იანვარს ეს ჯგუფი — გორკის მოლოტოვის სახელობის ავტოქარხნის მუშაკები: ამხ. მოსკალიოვი, დობრინინი, მარვინი და ვახრანევი მაშველ სამუშაოთა უფროსის ამხ. გორბაჩევის თანხლებით წარმატებით ავიდა იალბუზზე. ზამთრის მძიმე პირობების მიუხედავად ალპინისტებმა 9 საათის განმავლობაში მიაღწიეს მწვერვალს მეთერთმეტე თავშესაფრიდან. თავშესაფარში შეხვდნენ ისინი ახალ წელს და აქ დაჰყვეს რამდენიმე დღე ქარბუქის გამო.

„ტრუდ“.

○

ხე-ტყის ქერქის გასაცლელი დაზგა

ავროვის სახელობის ფანერის ქარხნის (ლენინგრადი) ოსტატმა ამხ. ვ. ი. ბელიაკოვმა გამოიგონა ხე-ტყის ქერქის მექანიკურად გასაცლელი დაზგა. დაზგის მიმღებმა ტექნიკურმა კომისიამ სცნო, რომ ამ დაზგით შეიძლება ცვლაში გაიწმინდოს 2.400 მორი 1,6 მეტრის სიგრძისა.

არც საბჭოთა კავშირში და არც საზღვარგარეთ დღემდე ასეთ დაზგებს არ ამზადებდნენ.

„ლესნაია პრომიშლენნოსტ“.

○

415 მილიონი მანეთი საქონელბრუნვის წლიური გეგმის ზევით

ლენინგრადის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკებმა ოთხი დედაქალაქის შეჯიბრებაში სასახელოდ შეასრულეს ვალდებულება — გაედიდებინათ წლიური საქონელბრუნვა გეგმის ზევით 400 მილიონი მანეთით. 1 იანვრისათვის ლენინგრადის სავაჭრო ორგანიზაციების საერთო საქონელბრუნვამ გადააჭარბა წლიურ პროგრამას 415 მილიონი მანეთით.

„ეკონომიჩესკაია ჟიზნ“.

◇

კულტურის ახალი კერები

წელს საქართველოს ქალაქებსა და რაიონთა ცენტრებში განათლების სახალხო კომისარიატის ხაზით ფართოდ გაიშლება კულტურის ახალი კერების მშენებლობა. თბილისში, ბათომსა და სტალინირში აიგება სამასწავლებლო ინსტიტუტების შენობები, რაც 5 მილიონი 600 ათასი მანეთი დაჯდება.

პედაგოგიური ტექნიკუმების შენობები აშენდება გეგეჭკორში, წულუკიძეში, ონში, ბაშკიჩეთსა და თბილისში. პედტექნიკუმების მშენებლობისათვის გადადებულია 2.831.000 მანეთი.

ქუთაისსა და მახარაძეში ააგებენ საბავშვო სახლების ახალ შენობებს, რისთვისაც გათვალისწინებულია 780 ათასი მანეთი.

ფართოდ გაიშლება საბავშვო ბაღების მშენებლობა. თბილისში ააშენებენ საბავშვო ბაღების 7 შენობას. ქუთაისში, ბათომში, სოხუმში, ფოთსა და გორში აგებენ თითო საბავშვო ბაღს. ყველა ეს ბაღები გათვალისწინებულია 1175 ბავშვისათვის. მშენებლობაზე 1,144,500 მანეთი დაიხარჯება.

ამას გარდა, საბავშვო ბაღებად გადაკეთდება უკვე აგებული შენობები 425 ბავშვის ტევადობით, რაზედაც დაიხარჯება 161 ათასი მანეთი.

◇

ტყიბულის მუშათა თეატრი

ტყიბულის მუშათა თეატრმა მუშაობა დაიწყო გასულ წლის 15 აგვისტოდან. ამ ხნის განმავლობაში თეატრმა დასდგა სამი პიესა — ლავრენიევის „რღვევა“, ცაგარელის კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“.

ამჟამად თეატრი მუშაობს ს. ერთაწმინდელის პიესაზე „რენადა“, ესპანეთის ცხოვრებიდან. დასი შესდგება უმთავრესად ადგილობრივი სცენის მოყვარეებისაგან, მოწვეულია აგრეთვე ოთხი პროფესიონალი მსახიობი. თეატრს ხელმძღვანელობს მსახიობი ალექსანდრე ალაზნისპირელი.

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიონული კომიტეტი დიდ მზრუნველობას უწევს თეატრს. თეატრის შენობის რემონტისათვის გადადებულია 47 ათასი მანეთი. რემონტი მიმდინარე წლის მაისიდან დაიწყება.

ტექნიკის ახალ მწვერვალებზე

ისტორიის არქივს ჩაბარდა ის დრო, როცა მარტივი მანქანები და მოწყობილობანიც კი უცხოეთის ქვეყნებიდან შემოგვქონდა. საბჭოთა კავშირმა პირველი ხუთწლედიდანვე მიაღწია საწარმოო დამოუკიდებლობას. ჩვენი მრეწველობა, კერძოდ მანქანათმშენებელი მრეწველობა იძლევა ყველა მანქანას, დაზგას, მოწყობილობას, რაც საჭიროა ჩვენი დიდი ინდუსტრიული სამშობლოსათვის. მაგრამ ტექნიკა შეუჩერებლივ ვითარდება. მანქანები, რომლებიც დიდ მოწონებაში იყვნენ 3 და 4 წლის წინათ, ახლა მოძველებული არიან. გამოჩნდნენ გაუმჯობესებული კონსტრუქციის მანქანები, და მათ ფაბრიკა-საწარმოებიდან განდევნეს ძველი კონსტრუქციები. ამიტომაა, რომ ახლა თვითეული მანქანათმშენებელი ქარხნის ცენტრი არის არა რომელიმე საწარმოო საამქრო, არამედ საკონსტრუქტორო ბიურო.

საქართველოს მანქანათმშენებელი ქარხნები, რომლებიც ზოგიერთი ტიპის მანქანებით ამარაგებენ მთელ საბჭოთა კავშირს, აშკარაა, ვერ ჩამორჩებოდნენ ტექნიკის განვითარების ტემპებს. ასეც მოხდა. ჩვენი ქარხნები არა თუ არ ჩამორჩენილან, არამედ ბევრს ახალსა და საინტერესოსაც იძლევიან. ახალი კონსტრუქციის ყველა მანქანა, რომელთაც მხოლოდ წელს უშვებენ კაპიტალისტური ფირმები, განსაკუთრებით ჩაის, მევენახეობა-მეღვინეობისა და სახალხო მეურნეობის მთელრიგ სხვა დარგებში, უკვე ათვისებულია საქართველოს მანქანათმშენებელი ქარხნების მიერ.

1937 წლის განმავლობაში საქართველოს მანქანათმშენებლობის ქარხნები გამოუშვებენ 27 სახელწოდების ახალ მანქანებსა და მოწყობილობებს.

26 კომუნარის სახელობის ქარხანა წელს აითვისებს და გამოუშვებს 6 სახელწოდების მანქანას. ესენია: აბრეშუმის პარკის კონვეიერული სახარში მანქანა „ჩიბას“ ტიპისა — 4 ცალი, „ხანდას“ ტიპის მანქანა 180 აუზით, საქსოვი, დაზგა აბრეშუმის ქსოვილთა გამოსაშვებად, რედივიდაჟური ძაფსახვევი მანქანა (რომელიც იღებს ძაფს ხარშვის პროცესში მყოფი პარკიდან) და სხვ.

სპილენძის სატკეცი ქარხანა წელს პირველად იწყებს კვების საწარმოთათვის საჭირო მოწყობილობების გამოშვებას. წელს ეს ქარხანა გამოუშვებს სულ 6 სახელწოდების ახალ მანქანათა და მოწყობილობათა კომპლექტებს.

ჩაის მოწყობილობათა ქარხანა წელს, გარდა იმ მანქანებისა, რომლებიც მას დიდი ხანია ათვისებული აქვს, გამოუშვებს 3 სახელწოდების ახალ მანქანას. მათ შორის „დავენპორტის“ სისტემის საწნეხებს, ზეთსახდელ მანქანებს და სხვ.

კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა 1937 წლიდან პირველად იწყებს ქვის დასამუშავებელი საფრეზერო დაზგების გამოშვებას. ერთერთი ასეთი დიდი საფრეზერო დაზგა კალინინის ქარხანამ უნდა დაამზადოს მოსკოვის საბჭოს შეკვეთით მარმარილოსი და გრანიტის ქვების სახელოსნოსათვის, რომელსაც მოსკოვის საბჭო აწყობს.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა იწყებს მევენახეობა-მეღვინეობაში საჭირო ახალი კონსტრუქციის მანქანების გამოშვებას. წელს ეს ქარხანა ქვეყანას მისცემს ახალი კონსტრუქციის ჰიდრავლიკურ საწნეხებს, სარეცხ მანქანებს, ღვინისა და კონიაკის ავტომატურად ჩამომსხმელ მანქანებს, ფილტრებს, პასტერიზატორებს და სხვ.

ახალი მანქანების გამოშვებასთან დაკავშირებით, აღნიშნულ ქარხნებში ახალი სპეციალისტებით აძლიერებენ არსებულ საკონსტრუქტორო ბიუროებს და აწყობენ ახალ საექსპერიმენტო განყოფილებებს.

დ. ლომთაძე.

◇

ბინაზე საექიმო დახმარების მორიგე პუნქტი

სტალინის სახელობის რაისაბჭოს ჯანმრთელობის განყოფილებამ მე-3 რაიონულ პოლიკლინიკასთან (პლეხანოვის. პროსპ. 44) გახსნა ღამით ბინაზე საექიმო დახმარების მორიგე პუნქტი, რაც რაიონის მოსახლეობას საშუალებას მისცემს საჭიროების დროს მიიღოს სასწრაფო საექიმო დახმარება საღამოს 8-დან დილის 8 საათამდე და გაიწვიოს ბინაზე მორიგე ექიმი ტელეფონით 3—16—20, ან პუნქტში პირადი მისვლით.

მორიგე პუნქტის მიზანია საექიმო დახმარება აღმოუჩინოს რაიონის მოსახლეობას, როდესაც ღამით ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდება, ან მოულოდნელად ავად გახდება ვინმე და აუცილებელი იქნება სასწრაფო საექიმო დახმარება.

პუშკინის იუბილესათვის

„ა. ს. პუშკინი ქართულ ენაზე 100 წლის განმავლობაში“.

ცნობილი პოეტი ი. გრიშაშვილი ამთავრებს ბიბლიოგრაფიულ ნაშრომს „პუშკინი ქართულ ენაზე 100 წლის განმავლობაში“, რომელიც განკუთვნილია კრებულისათვის „პუშკინი საქართველოში“. ამ კრებულს გამოსცემს საქართველოს ცაკთან არსებული პუშკინის საიუბილეო კომიტეტი.

ი. გრიშაშვილის ნაშრომში მოთავსებული იქნება ცნობები პუშკინის ნაწარმოებთა თარგმნის შესახებ, დაწყებული 1830 წლიდან, გათავებული ჩვენი დროით.

პუშკინის პირველი მთარგმნელები წარსული საუკუნის ოცდაათიან წლებში იყვნენ: სოლომონ რაზმაძე, რომელმაც ქართულ ენაზე სთარგმნა „ესპანური სიმღერა“, ნაწყვეტები „ევგენი ონეგინიდან“, „დემონი“ და სხვ. ალექსანდრე ჭავჭავაძე —(„ანჩარი“, „ზვავი“, „ყვავილები“), მიხეილ თუმანიშვილი („ბახჩისარაის შადრევანი“, „დონ-ჟუანი“) და სხვ.

წარსული საუკუნის 60—70-იან წლებში ა. ს. პუშკინს სთარგმნიდნენ გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი და სხვ.

საქართველოში სულ ა. ს. პუშკინის ნაწარმოებთა 76 მთარგმნელამდე ირიცხება.

ამჟამად პუშკინს საბჭოთა საქართველოს მრავალი პოეტი სთარგმნის. დასახულია ამოცანა გადმოითარგმნოს და „სახელგამისა“ და „ფედერაციის“ გამოცემით გამოვიდეს უდიდესი რუსი პოეტის ყველა დიდმნიშვნელოვანი ნაწარმოები. ეს ამოცანა დღეს-ხვალ განხორციელდება. (საქდესი).

◇

ახალი ამბები

○ **თბილისში ეწყობა** გაზითმანათობელი შუშის მილების სახელოსნო, რომელიც დაამზადებს სინათლიან სარეკლამო წარწერებს სავაჭრო დაწესებულებათათვის. სახელოსნოსათვის საჭირო მოწყობილობის დადგმა დაწყებულია.

○ **თბილისის გამწვანების** სამუშაოთა ტრესტი შეუდგა წიწვიანი ჯიშების ნერგთა დამზადებას თბილისის მიდამოებში გაზაფხულზე დასარგავად.

○ **1937 წელს უნდა დამთავრდეს** ბორჯომის წყლის ქარხნების (ბოთლებისა და ჩამომსხმელი ქარხნების) რეკონსტრუქცია, რისთვისაც მიმდინარე წლის ბიუჯეტით კურორტთა სამმართველომ გაითვალისწინა 715.000 მანეთი.

○ **განსახკომის დადგენილებით** 7-დან—13-მდე გადიდდა მასწავლებელთა საატესტაციო კომისიები.

◇

კრებები

— საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომა მოწვეულია დღეს, 16 იანვარს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში. სხდომას უნდა დაესწროს მწერალთა აქტივი.

დღის წესრიგში — ოქტომბრის ოცი წლისთავისათვის შემოქმედებითი სამზადისისა და პუშკინის გარდაცვალების ასი წლისთავის აღნიშვნაში მწერალთა კავშირის მონაწილეობის საკითხები.

◇

პარტკალენდარი

—17 იანვარს, საღამოს 7 საათზე, თბილისის საბჭოს სხდომების დარბაზში მოწვეულია საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის **კიროვის რაიკომის IX პლენუმი.** დღის წესრიგი შემდეგია:

საქ. კ.პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების განახლების შესახებ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ (ამხ. კუჯიაშვილის მოხსენება).

პლენუმს უნდა დაესწრონ რაიკომის პლენუმის და სარევიზიო კომისიის წევრები და კანდიდატები, კიროვის რაიონის პარტკომების მდივნები და პირველადი პარტორგანიზაციების პარტორგები.

კიროვის რაიკომის მდივანი
ხ. იმხანოვი

○

— **საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-თან** არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს მიხეილ ალექსანდრეს-ძე დოლიძეს, არსენ ვასილის-ძე ბიბილაშვილს (საგარეჯოს რაიონი), ა. ვ. ხურციძეს და პ. რ. წიქორიძეს გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ლ. ჩიხლაძესთან (ძერჟინსკის ქ. 8, მე-2 სართული).

— **ლენინის რაიკომის** პარტკაბინეტში დღეს, საღამოს 7 საათზე პროპაგანდისტებისათვის გაიმართება ჯგუფური კონსულტაცია ახალი ეკონომიური პოლიტიკის უკანასკნელი ეტაპის შესახებ. კონსულტაციას ჩაატარებს ამხ. გრ. ჯანელიძე.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

16-I	შემოდგომის აზნაურები
17-I	სასტუმროს დიასახლისი

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

17-I წარ. № 84	ძალად ექიმი
18-I წარ. № 85	მორეული

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი პატიმრები სცენარი ნ. პაგოდინისა. რეჟისორი ჩერვიაკოვი.
დამკვრელი 6-45, 8-45, 10-45	ხმოვ. მხატვ. ფილმი მსოფლიოს დიდება სოფიო მაგარილის მონაწ.
კომკავშირელი 6,7-40,9-20,11	
რ. ლუქსემბ. დღით და საღ. 6-30,8,9-30,11	საქ. სახკინმრ. ხმოვ. ფილმი ძაჯეთი საბრძოლო ოლიმპიადა.
26 კომ. სახ. 6-30, 8, 9-30, 11	საზღვ. ხმოვანი ფილმი ანტეკი პოლიცმეისტერი
ახალი ამბები 6-30	ესპან. ამბ.—10 და 11 გამოშ. რკინის გზელი, საუცხოვო სასახლე.

ორჯონიკიძის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ა-წ. 17 იანვარს დღის 12 ს. ძერჟინსკის ქ. № 5-ის სახლში

საჯარო ვაჭრობით

გაჰყიდის მოქ. დავით მახარაძის შენობას, რომელიც იმყოფება კუკეთში, შესდგება ერთი სართულისაგან და შეიცავს ოთხ ოთახს თავისი შუშაბანდით. ქონება შეფასებულია 20.000 მან. და გაიყიდება ცეკავშირის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად სასამართლოს 1936 წ. 5 ივლისის № 2/507 აღმასრულებელი ფურცლისა. მყიდველი ვალდებულია წარმოადგინოს კომუნალური განყოფილებიდან ცნობა, რომ არც თვითონ და არც მის ცოლშვილს არა აქვთ არავითარი შენობა. თუ აღნიშნულ დღისათვის ვაჭრობა არ შესდგა, შემდეგი საჯარო ვაჭრობა შესდგება 25 იანვარს.

16720

განაცხადები შეშაზე

1937—38 წლის სეზონისათვის და ტექნიკური საჭიროებისათვის ქ. თბილისის ტერიტორიაზე არსებულმა ყველა წარმოება-დაწესებულებებს და ორგანიზაციებს ევალებათ (გარდა სამხედრო უწყებისა და შინსახკომისა) წარმოადგინონ 1937 წლის 25 იანვრამდე თბილისის საბჭოს შინა-ვაჭრობის განყოფილებაში განაცხადები 1937-38 წლ. საჭირო რაოდენობის შეშაზე, თანახმად თბ. საბჭოს შინა-ვაჭრობის განყოფილების ფორმისა.

ის ორგანიზაციები, რომლებიც ვადაზე არ წარმოადგენენ განაცხადს, 1937 წლის მომარაგების გეგმაში არ იქნებიან შეტანილნი.

ცნობების და ფორმების მიღება შეიძლება თბილისის შინავაჭრობის განყოფილებაში, სამრეწველო-სასაქონლო ჯგუფი (თბ. საბჭოს შენობა მე-3 სართული, ოთახი № 19, ტელ. 3-73-66) დღის 12 საათიდან.

6

თბ. საბჭოს შინა-ვაჭრობის განყ-ბა.

დღეს, 16 იანვარს და

სახცირკი
ტელ. 3-11-44
ყოველდღე
კიო
გასტროლები — თავისი 25 ასისტენტით

და აგრეთვე მთელი დასი.

დასაწყისი 8-30 წ.

სალარო ღიაა 12 ს. 2 საათამდე და 5 ს.

10-3

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67. სამდივნოსი: 3—06—88. განყოფილებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოსი — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, ღამის რედაქტორის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. №68.

მთავლიტის რწმუნებული 3. 8502